ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**საქართველოს საკაბელო ოპერატორთა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, „რუსთავი 2", „იმედი", „მაესტრო", „ჯიდიესი", „მარაო" და „კომედი არხი" საპროტესტოდ გათიშოს**

გვ.3



**17 ოქტომბრიდან**

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ორშაბათის სიზმარი**

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**



სამშაბათი, 17 ოქტომბერი, 2017 №246 (7480) ფასი: 50 თეთრი

# „არჩევნების შემდეგ ნაციონალები დაიშლებიან"



ნიკოლოზ მჟავანაძე: „ივანიშვილი შენებით ტკბებოდა, ყოფილი ხელისუფლება — გაუპატიურების კადრების ყურებით"

გვ.2





გვ.5

## მამა გიორგი მამალაძე: „მეუფე იაკობი მრისხანებას ვერ მალავდა, როდესაც მე საპატრიარქოს ქონების მართვა დამავალა უწმინდესმა, მე ველოდები მეუფე დიმიტრის"



გვ.4

## მამუკა გამყრელიძე: „არავის საქმე არ არის, რუსეთში ფულს ვშოულობ თუ არა"

„როცა რუსეთის მოქალაქე აღარ ვიქნები, პოლიტიკაში მაშინ მოვალ"

## ანზორ აბრალავა: „ნაცმოძრაობა რევოლუციის იმიტაციას ახდენს"

გვ.3



გვ.3



მამუკა კაციტაძე: „ქართულ ოცნებას" სერიოზული ხავსი აქვს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ჰქვია"

## ირაკლი ალასანია: „ეს 24-წლიანი ჭრილობა დღეს, მართლაც დაიხურა, აქ ყველა გმირია"



გვ.4

**სამართალი** გვ.7

## აფეთქება თბილისში გაზგასამართ სადგურზე — დაშავებულია 3 ადამიანი




## ზაზა ხატიაშვილი: „ირმა ჭკადუას მიმართ ზეწოლა განხორციელდა"



## ყაზბეგში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს



**ეკონომიკა** გვ.6



## ერთი წლის განმავლობაში საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა 2.200 კაცით შემცირდა




## ქუთაისიდან ათენის მიმართულებით ბილეთების ფასი 53.99 ლარიდან იწყება



## თემურ ჭყონია: „ბანკებისთვის არაპროფილური აქტივების შეზღუდვა უკვე დაგვიანებულია"

ISSN 1987-9385

5 დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტროდან დახვრეტით დამემუქრნენ"

3 ქუთაისის პარლამენტის შენობაში წყალი ჩავიდა

6 აჭარაში, სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში სტიქიას ებრძვიან

7 „საქართველოს ბანკის" ექსპრეს ფილიალზე თავდასხმაში ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

# „არჩევნების შემდეგ ნაციონალები დაიშლებიან“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ივანიშვილი შენებით ტკბებოდა, ყოფილი ხელისუფლება – გაუპატიურების კადრების ყურებით“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ითხოვს ნაციონალების დაპატიმრებას, რას იზამს ყოფილი ხელისუფლება არჩევნების შემდეგ, რატომ არ აღდგა აქამდე სამართლიანობა? – ამ თემებზე „ახალი თაობა“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძეს** ესაუბრება.

***– თქვენ სოციალური ქსელით ხელისუფლებას მოუწოდეთ, რომ ნაარჩევნებს ნაციონალების ციხეში წასვლა უზრუნველყოს. ეს მოწოდება მას შემდეგ გააკეთეთ, რაც მათ ივანიშვილის რეზიდენციასთან აქცია გამართეს. ციხეში იმიტომ უნდა წავიდნენ, რომ აქციის გამართვა გაბედეს?***

– ისინი ციხეში 9 წლის მანძილზე ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა წავიდნენ. რაც შეეხება 15 ოქტომბერს გამართული აქციას, ეს იყო ნაცების ბოლო გაფართხალება. მთელი საქართველოს მასშტაბით ჰქონდათ გამოცხადებული მობილიზაცია და 5.000 კაცი ძლივს გაიყვანეს.

5.000 კაცი პროცესებზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს და ისინი ვერაფერს ვერ გააკეთებენ. იმისთვის, რომ ქვეყანაში არეულობა დაიწყოს, მინიმუმ 40.000-კაციანი აქციებია საჭირო.

***– 2003 წელს, ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში, ქუჩაში 40.000-ზე ბევრად ნაკლები ადამიანი იყო გამოსული.***

– ვარდების რევოლუცია უცხოეთიდან იყო დაფინანსებული. ამერიკამ ოფიციალურად აღიარა, ამ პროცესში ჩვენ ვმონაწილეობდითო. ახლა არა მგონია, რომ დასავლეთი ამათ უკან იდგეს.

დასავლეთი დღევანდელი ხელისუფლების კურსს დადებითად აფასებს და მისი შეცვლით არავინ არ არის დაინტერესებული.

***– ქება-დიდებას არც შევარდნაძეს აკლებდნენ, მაგრამ ეს ყვავილოვანი გადატრიალებით დასრულდა.***

– დასავლეთი შევარდნაძეს არ აქებდა. იქიდან სულ შენიშვნები და მკაცრი გაფრთხილებები მოდიოდა. თან მაშინ მოსახლეობაში უკმაყოფილების მუხტი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ახლა.

სულ ტყუილად ბაქი-ბუქობენ ნაციონალები. იმუქრებიან, ნახევარ მილიონ კაცს გამოვიყვანთო და 5.000 კაცი ვერ მოაგროვეს. ამდენი მომხრე თუ ჰყავთ, გამოეყვანათ.

***– რატომ თუ ჰყავთ, გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დაუჭირა მხარი ნაციონალურ მოძრაობას.***

– ეგ კიდევ საკითხავია. ცესკოში რაღაცები არის გასარკვევი. არა მგონია, ნაციონალებისთვის ამდენ ადამიანს მიეცა ხმა.

პატრიოტთა ალიანსს ყველა კვლევის მიხედვით ლამის 3%-იანი მხარდაჭერა აქვს, მაგრამ გაცილებით მეტი ხალხი გამოიყვანა აქციებზე, ვიდრე ნაციონალებმა.

***– ბოროტი ხმები ამბობენ, რომ პატრიოტთა ალიანსის აქციების უკან ხელისუფლება დგას.***

– ენას ძვალი არა აქვს და ყველაფერი შეიძლება თქვა. მასე იმასაც ამბობენ, „ოცნება“ ნაციონალებს მფარველობსო.



***– ნაცებზე არ ამბობენ, „ევროპულ საქართველოზე“ არის ეჭვი.***

– ნაცებზეც იძახიან, მაგრამ რაკი იმაზე ვსაუბრობთ, რა მოხდება არჩევნების შემდეგ, ვისაუბროთ ამაზე. არჩევნების შემდეგ მოხდება შედეგების დაფიქსირება, რასაც ნაციონალები აუცილებლად გააპროტესტებენ. მაგიტომაც მოვუწოდე ხელისუფლებას, რომ ზოგიერთი თუ ძალიან იაქტიურებს, მოკიდონ ხელი ქეჩოში და შეათრიონ ციხეში.

***– ციხეში აქტიურობის გამო უნდა შეათრიონ?***

– ციხეში ის უნდა შეათრიონ, ვინც კანონს დაარღვევს. ამ ცოტა ხნის წინ რაც მერიასთან და საკრებულოსთან ხდებოდა, კანონის დარღვევა იყო. ის ხალხი, ვინც იმ დღეს კანონი დაარღვია, უნდა დაეჭირათ.

***– მერე რატომ არ დაიჭირეს? ყველამ ვნახეთ, რომ ყოფილი დეპუტატი გია ბარამიძე პოლიციელს ქოლგას ურტყამდა, რატომ არ მოსთხოვეს მას პასუხი?***

– მეც მაგას ვაპროტესტებ. დაუშვებელია, ვიღაცამ პოლიციელს ქოლგა ურტყას და ძაღლები ეძახოს. ხელისუფლებამ დამნაშავე ძალასთან კოაბიტაცია უნდა დაამთავროს. უკვე დროა, მათ ის ადგილი მიუჩინონ, რომელსაც იმსახურებენ.

უნამუსო ნაციონალები ახლა ამტკიცებენ, თბილისის საკრებულოსთან დაგვარბიესო. სადაური დარბევა ეს იყო? პოლიციას იქეთ ურტყამდნენ და საკრებულოში შეჭრას ლამობდნენ.

***– შეჭრა რა შუაშია, პარლამენტის წევრს სრული უფლება აქვს, დაესწროს საკრებულოს სხდომას. კანონის დარღვევა ისაა, როდესაც დეპუტატს არ უშვებ საკრებულოს შენობაში.***



– კანონის დარღვევას თუ ჰქონდა ადგილი, სასამართლოს უნდა მიმართო. დეპუტატი ბოკუჩავა კი რას აკეთებდა? როგორც გამოცდილი მეკლდეური, ხალხზე აცოცდა და ასე გადადიოდა მაღლიდან. ეს სადაური წესია.

ეგენი რომ ხელისუფლების სათავეში იყვნენ, ქვეყანაში 100.000-იანი მიტინგები იმართებოდა, მაგრამ ფოთოლი არ ჩამოვარდნილა ხიდან, ამათ 5 კაცი გამოჰყავთ და აიკლეს აქაურობა.

ან ახლა რომ მივარდნენ ივანიშვილის რეზიდენციასთან და აცხადებდნენ, არჩევნების გაყალბება არ გაბედოს ხელისუფლებამო, თავად რომ აყალბებდნენ, ეს კარგი იყო? შეიძლება გრეჩიხა არ მოგაწონდეს, მაგრამ 2008 წელს მას საპრეზიდენტო არჩევნები გაუყალბეს. მაგათი ლოგიკით, ხალხს მათთვის ტყვიები უნდა ესროლა.

***– ივანიშვილი და ის არჩევნები ახსენეთ და როგორც ნიკა რურუამ განაცხადა, იმ არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს უჭერდა მხარს. მაშინ იმასაც მოსწონდა სააკაშვილი, ხომ?***

– არაფერიც არ მოსწონდა, უბრალოდ, მაშინ ასე ფიქრობდა. ეს ნაციონალები უსირცხვილოები არიან, პუშკინის სკვერის გადაცემაზე ამხელა ამბავი რომ ატეხეს. ამ ადამიანს სახელმწიფოსთვის უამრავი ობიექტი აქვს საჩუქრად გადაცემული. მის გარდა, სხვებსაც აქვს მილიარდები, მაგრამ ქვეყნისთვის არაფერი გაუკეთებიათ. ახლა ვერ გავიგე, ივანიშვილი ვინმესთან ვალში კი არ არის.

***– არც პატარკაციშვილს ჰქონდა ვინმეს ვალი, მაგრამ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს ისიც აკეთებდა.***

– ნამდვილად აკეთებდა, მაგრამ მასაც ჰქონდა ხელისუფლებაში მოსვლის ამბიციები.

***– ამბიციები ჰქონდა, მაგრამ ვინ აცალა.***

– არ აცალეს. ივანიშვილისგან განსხვავებით, მან არ იცოდა, როგორ ემოქმედა. დღეს რომ გამოდის ზოგიერთი პოლიტიკოსი და ბევრს ლაპარაკობს, ასეთი მაგრები თუ არიან, მაგათ რატომ ვერ შეცვალეს ხელისუფლება.

***– ხელისუფლების შესაცვლელად ნიადაგი ვინ მოამზადა? როცა ისინი სააკაშვილის საწინააღმდეგო აქციებს აწყობდნენ, ივანიშვილი 5-ნომრიანი მაისურით და კეპით დადიოდა. დეპუტატი აკაკი ბობოხიძე ამტკიცებს ამას.***

– ნაციონალების გაკეთებულ განცხადებაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? ზოგი ადამიანი იბადება ისე, რომ შუბლზე ძარღვი აქვს




გაწყვეტილი. ყველა შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ადამიანი ამ პარტიაში მოხვდა.

***– თუ ასეა, გამოდის, რომ „ოცნებაც“ კაი შუბლის ძარღვგაწყვეტილი პარტიაა – პარლამენტის და მთავრობის 80% ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებით ჰყავს დაკომპლექტებული.***

– ბიჭო, პორტირებულ ნაცებს, როდის იყო, რომ მივესალმებოდი? „ქართულ ოცნებას“ ნაციონალები საცვლებით რომ გამოეყარა ქუჩაში და დაეჭირა დამნაშავეები, დღეს 100%-იანი რეიტინგი ექნებოდა, მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი სხვანაირად დამთავრდებოდა.

გავიხსენოთ ზვიად გამსახურდია. ის ისე მოქმედებდა, როგორც ხალხს უნდოდა, მაგრამ ეს ცუდად დასრულდა. „ოცნებას“ ისე რომ ემოქმედა, რასაც ნაციონალები იმსახურებენ, ქვეყანაში სხვა პროცესები დაიწყებოდა.

***– რა პროცესები?***

– მთელი მსოფლიო იმაზე დაიწყებდა საუბარს, რომ „ქართული ოცნება“ რევანშისტულ ძალად ჩამოყალიბდა. ივანიშვილი ყვებოდა, დავოსში რომ ჩავედი, ყველა მეუბნებოდა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხელი არ ახლოთო. დასავლეთი ნაციონალებს დემოკრატიის შუქურად თვლიდა და არ უნდოდათ მათი დაკავება.

***– დასავლეთის ნდომაზეა სამართლიანობის აღდგენა? დამნაშავეები თუ იყვნენ, დაესაჯათ.***

– სამართლიანობა რომ არ აღდგა, ამას მეც ვაპროტესტებ, მაგრამ ზოგჯერ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედო.

***– ქვეყნის ინტერესი ის არ არის, რომ დამნაშავე ციხეში გაუშვა?***

– მთლად ისეც არ არის საქმე, რომ არავინ არ დაუსჯიათ. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ზის, შს ყოფილი მინისტრიც ზის, თბილისის ყოფილი მერიც იჯდა. პროცესები მიდის და სხვებიც ჩაჯდებიან.

***– როდის ჩაჯდებიან?***

– მაგის დროც მოვა. დასავლეთში ნაცისტების დიდი ნაწილი ათწლეულების შემდეგ დაიჭირეს, ზოგიერთი ახლაც მიმალვაშია.

მეც მაღიზიანებს, რომ დამნაშავე ნაცები ციხეში არ არიან, მაგრამ ზოგჯერ არსებულ რეალიებსაც უნდა გავუსწოროთ თვალი. აქ ყველა დამნაშავე რომ დაიჭირონ, საერთაშორისო იზოლაციაში მოგაქცევენ და ჩამოგაგდებენ.

***– ჩამოგდების შიშით ამბობს ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენაზე უარს? მაგიტომ არ უნდათ სააკაშვილის ექსტრადირება?***

– ვის არ უნდა მიშას ექსტრადირება? ამაზე საბუთები უკვე გაგზავნილია. ადრე თუ გვიან, ის წარდგება სასამართლოს წინაშე. ამათი დღეები დათვლილია. მათმა გაფართხალებამ არავინ მოატყუოს, რაღაც თანხა მოუვიდათ და ამიტომ ფართხალებენ. ეს ფული რომ ამოეწურებათ, აქციაზე 500 კაცსაც ვერ მიიყვანენ. ნაციონალების სიმღერა დამთავრებულია.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ივანიშვილს არ უნდა დამნაშავეების დასჯა, სხვა თუ არაფერი, ის წინა ხელისუფლებამ სასიკვდილოდ გაიმეტა, მაგრამ ეს კაცი ბევრ რამეს ითვალისწინებს.

***– ვინ და როდის გაიმეტა ივანიშვილი სასიკვდილოდ?***

– რაც მან 2011 წელს გაბედა, ეს სიკვდილზე წასვლა იყო. ის რომ პოლიტიკაში გამოჩნდა, გარანტირებული ჰქონდა, რომ არჩევნებს მოიგებდა? არავინ არ იცოდა, რითი დასრულდებოდა ეს ამბავი.

***– საინტერესოა, 2011 წლის ოქტომბრამდე რატომ არ გამოჩნდა ივანიშვილი? 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევა არ იყო საკმარისი მოტივი?***

– ივანიშვილი მაშინ ფიქრობდა, რომ ოპოზიცია შეძლებდა სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას. იმათ კი რა ქნეს, ზოგი მიშას მიეყიდა და ზოგმა კიდევ ვინ იცის, რა გააკეთა.

მაშინ ყველაფერი იმიტომ კეთდებოდა, რომ ორთქლი გამოსულიყო. ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ ივანიშვილმა შეძლო.

***– ივანიშვილმა რატომ? ხალხს არაფერი გაუკეთებია?***

– ივანიშვილი რომ არა, ხალხი ვერაფერს ვერ იზამდა.

***– ხალხი რომ არა, ივანიშვილი რას იზამდა?***

– ვერც ის იზამდა რამეს. როდის იყო, ერთ მერცხალს გაზაფხული მოჰყავდა.

***– და მაშინ რატომ ამადლიან ხალხს, რომ ხელისუფლება ივანიშვილმა შეცვალა?***

– არ ამადლიან. უბრალოდ, ხალხს სჭირდება ლიდერი. დღეს ზოგიერთ ლიდერს ენა რომ აქვს წაგდებული, მაშინ რა თამაშს თამაშობდნენ, კაცმა არ იცის.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა კაციტაძე: „ქართულ ოცნებას“ სერიოზული ხავსი აქვს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ჰქვია“

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე **მამუკა კაციტაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო მამუკა, „ლიდერთა საბჭომ“ საგანგებო შეკრების შემდეგ განცხადება გააკეთა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას არჩევნების შედეგებით მანიპულირების შესაძლებლობას არ მისცემს. რას აპირებთ?***

– ეს არის ის საკითხი, რაც „ლიდერთა საბჭოს“ სხდომაზე იქნა განხილული, საუბარია ოპოზიციური ხმების დაცვაზე, კოორდინაციაზე არჩევნების დღეს თუ არჩევნების წინა პერიოდში. საკმაოდ ქმედითი და მწვავე რეაგირება გვექნება თითოეულ დარღვევაზე.

***– რა ნაბიჯებით?***

– მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური რისკის გზა აირჩია, ვგულისხმობ განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესს, ბუნებრივია, რომ პოლიტიკური სივრცე შევიწროვდა. მრავალპარტიულობა ამ ეტაპზე მოკვდა თბილისის საკრებულოში და ზოგადად ქართულ პოლიტიკაში.

„ლიდერთა საბჭო“ შედგება ჭრელი ოპოზიციური სპექტრისგან და ახლავე ვაცხადებ, რომ ჩვენ ვერავინ ვერასდროს ერთ პოლიტიკურ ბლოკში ვერ გვიხილავს, მაგრამ არსებობს საკითხები, სადაც კონსოლიდაცია გარდაუვალია. ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავუპირისპიროთ ერთიანი ძალისხმევა „ქართული ოცნების“ ამ პოლიტიკას.



ეს მოხდება ამ არჩევნებზეც, ჩვენი წარმომადგენლების კოორდინირება მოხდება საარჩევნო კომისიებში. კოორდინაციის პროცესი აუცილებლად გაგრძელდება არჩევნების შემდეგაც, თუნდაც საკონსტიტუციო საკითხზე. მართალია სამართლებრივი პროცესი დასრულებულია და კონსტიტუცია მიღებულია, მაგრამ პოლიტიკური პროცესი აუცილებლად გაგრძელდება ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.

***– შეკრებას საერთაშორისო წარმომადგენლობებიც ესწრებოდნენ. რა ინფორმაცია მიაწოდეთ მათ?***

– მათ გავაცანით, რომ მედია მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციის მიხედვით საეთერო დროის განაწილება ასეთია: 40% „ქართულ ოცნებას“, ყველა დანარჩენ პარტიას კი – 60%. ასევე ოფიციალური ინფორმაციით, 9 მილიონი ლარი არის პარტიებში გადარიცხული, აქედან 90% – „ქართულ ოცნებაში“.

***– თუმცა, ეს კერძო შემოწირულობაა.***

– ვიცოდი, რომ ამას მეტყოდით. ვიღაც იტყვის, დიახ, ასე უნდა ბიზნესს და თქვენ ავალდებულებთ?!

***– ამაში არის ლოგიკა.***

– რა თქმა უნდა, ლოგიკა არის, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების წინ, თუ გახსოვთ ბიზნეს ფორუმი, სადაც ბიძინა ივანიშვილიც იყო და განაცხადა, შუაშისტობა მავნებლობაა. ეს იყო პირდაპირი გზავნილი: არ დავინახო თქვენი ფული ოპოზიციისკენ მიმართული, ამ გზავნილმა იმუშავა. ეს გზავნილი მუშაობს დღესაც და შედეგიც სახეზეა. მათ რაღაც-რაღაცების ეშინიათ.

კიდევ ერთი საკითხი: ამ არჩევნებზე 191 მაჟორიტარი კანდიდატი და 21 მერობის კანდიდატი მოიხსნა. ჯამში 212-მა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, აქედან 98% ოპოზიციონერია.

***– ფიქრობთ, რომ ეს იძულებით მოხდა?***

– ჭკუათმყოფელი ადამიანი სხვას რას იფიქრებს. ყველა ოპოზიციურმა კანდიდატმა ერთ დღეს გაიღვიძა და მიიღო ეს გადაწყვეტილება?! ზოგს ტკბილად უთხრეს, ხმებს ნუ გამიყოფ, ზოგს მუშტის დარტყმით. არეალი გაათავისუფლებინეს, მე სხვა ახსნას ვერ ვუძებნი.

***– არასაპარლამენტო ოპოზიცია რა შემთხვევაში მიიღებს 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს და რა შემთხვევაში იქნება ხმაურიანი მისი პროტესტი?***

– ლეგიტიმაციას აქვს ორი მხარე: ერთი სამართლებრივი და მეორე – პოლიტიკური. მაგალითად, დღეს ახალ კონსტიტუციას სამართლებრივი ლეგიტიმაცია აქვს, მაგრამ პოლიტიკური ლეგიტიმაციის პრობლემაა. ასევეა ამ შემთხვევაშიც. მედია ფონი, ფინანსური ფონი, ადმინისტრაციული რესურსის ფონი არათანაბარია. ამიტომ ვამბობთ, რომ პოლიტიკური პრობლემა უკვე სახეზეა. რაც შეეხება სამართლებრივ პრობლემას, დავაკვირდებით უშუალოდ ადგილებზე, საარჩევნო უბნებზე, კომისიებში ჩვენი წარმომადგენლების მეშვეობით.

***– ამ შეკრებაზე ბურჯანაძემ ასევე განაცხადა, რომ მეორე ადგილზე გიგა ბოკერიას პარტიის გაყვანას აპირებს ხელისუფლება. ამაზე რას იტყვით?***

– „ქართული ოცნება“ ასეთი დამოკიდებულებით ხასიათდება. ღიად გამოდის და აცხადებს, ვინ არის მისაღები ოპოზიცია და ვინ არა. ამაში არახალი არაფერია. თუმცა, ეს არ არის „ლიდერთა საბჭოს“ ერთიანი განცხადების თემა, ეს არის მოსაზრებები ცალკეული ლიდერების.

***– კახა კალაძე გამოეხმაურა ოპოზიციის ამ განცხადებებს და თქვა, რომ ოპოზიცია ხავსს ეჭიდება.***

– ოპოზიცია მოქმედებს იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რაც მას „ქართულმა ოცნებამ“ დაუტოვა თავისი კარჩაკეტილი პოლიტიკით. ჩვენ ჩვენი შესაძლებლობების კონსოლიდაციას ვახდენთ. რაც შეეხება ხავსს, მე მესმის, რომ მთლიანად „ქართულ ოცნებასა“ და ბატონ კალაძეს სერიოზული ხავსი აქვს, რომელზეც ხელი აქვს ჩაჭიდებული, მაგრამ რა ვქნათ, ყველა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მოქმედებს. ჩვენ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავარქმევ ხავსს, ხოლო ბატონი კალაძე თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მოქმედებს, რომლის ხავსსაც ჰქვია ბიძინა ივანიშვილი. თუმცა, მაპატიოს ბატონმა ბიძინამ, ის არათუ ხავსია, ძალიან მყარი საყრდენია ამ შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, ფინანსური საყრდენი, რაზედაც არის აშენებული „ქართული ოცნების“ მანქანა.

***– თუ არჩევნების შედეგების მიხედვით ელენე ხოშტარია მეორე ადგილზე გავიდა, ამ შემთხვევაში რას აკეთებს არასაპარლამენტო ოპოზიცია?***

– როგორ გითხრათ, რას აკეთებს ამ დროს ოპოზიცია. გეტყვით, რას აკეთებს „ახალი მემარჯვენეები“.

***– ამაზე შეკრებაზე იყო საუბარი და ამიტომ გეკითხებით.***

– ჩვენ ჯერ იმაზე მსჯელობა არ გვქონია, რომ რომელიმე ერთ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი მთელმა ოპოზიციამ. თავიდან იყო შეთავაზება, რომ ყველა ოპოზიციურ ძალას ერთი კანდიდატი ყოლოდა, მაგრამ ეს არ მოხდა. მეორე ადგილისთვის იბრძვიან. ჩვენ, „ახალ მემარჯვენეებს,“ არათუ მერობის კანდიდატი, საკრებულოში სიაც კი არ წარგვიდგენია, რადგან ეს არის ფუჭი ბრძოლა.

რას იზამს მეორე ტურში ოპოზიცია, დღეს ეს თემა მოხსნილია. თუ დადგა მეორე ტურის საკითხი, მერე იქნება აქტუალური ამ საკითხზე მსჯელობა ოპოზიციაში.

## ქუთაისის პარლამენტის შენობაში წყალი ჩავიდა

უხვი ნალექის შედეგად ქუთაისის პარლამენტის შენობაში წყალი ჩავიდა.

სტიქიის შედეგად დატბორილია ქალაქის იუსტიციის სახლისა და პროკურატურის შენობების სარდაფები.

ადიდებულმა მდინარემ დატბორა ქუთაისის ქუჩები, გუშინ ერთ-ერთ საჯარო სკოლაში შევარდნილი წყლის ნაკადის გამო, სასწავლო პროცესი შეწყდა.

## საქართველოს საკაბელო ოპერატორთა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, „რუსთავი 2“, „იმედი“, „მაესტრო“, „ჯიდიესი“, „მარაო“ და „კომედი არხი“ საპროტესტოდ გათიშოს

საქართველოს საკაბელო ოპერატორთა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, ტელეარხები – „„რუსთავი 2“, „იმედი“, „მაესტრო“, „ჯიდიესი“, „მარაო“ და „კომედი არხი“ საპროტესტოდ გათიშოს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საკაბელო ტელევიზიების კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა თეონა ბერუაშვილმა განუცხადა.



როგორც მან განმარტა, აღნიშნულის მიზეზი არის მითითებული ტელეარხებისგან მათი სიგნალის გავრცელებისთვის თანხის მოთხოვნა.

ბერუაშვილის თქმით, დამატებითი დეტალები, თუ რომელი საკაბელო ოპერატორი გათიშავს საპროტესტოდ აღნიშნულ არხებს, ხვალ დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გახდება ცნობილი, რომელსაც მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირები გამართავენ.

რამდენიმე თვის წინ რამდენიმე ათეულ საკაბელო ოპერატორს შპს „მედია რაითს ჯორჯიასგან“ წერილი მიუვიდა, რომლის თანახმადაც, კომპანია აცხადებდა, რომ ჰქონდა ექსკლუზიური უფლება სამაუწყებლო არხების – „რუსთავი 2“, „იმედი“, „მაესტრო“ კომერციულ დისტრიბუციაზე საკაბელო ტელევიზიებსა და ინტერნეტ სივრცეში.

წერილში „მედია რაითს ჯორჯია“ ასევე განმარტავდა, რომ დაინტერესების შემთხვევაში საკაბელო ოპერატორებმა აღნიშნულ ორგანიზაციას უნდა მიმართონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეუწყდებათ ზემოაღნიშნული სამაუწყებლო არხების ტრანსლირების ან/და მათი კონტენტის განთავსების უფლება. „მედია რაითს ჯორჯიასა“ და საკაბელო ოპერატორებს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე თვეა მიმდინარეობს.

# ანზორ აბრალავა: „ნაცმოძრაობა რევოლუციის იმიტაციას ახდენს“

## „ეკლესიის თემას საარჩევნოდ იყენებენ იმიტომ, რომ ამაში დაფინანსებას იღებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს საქართველოში მომრავლებული ქუჩის აქციების ორგანიზებას ახდენენ ის პარტიები, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილი. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ ანზორ აბრალავას.

**ანზორ აბრალავა:**

– აქციების მოწყობაში განსაკუთრებულად აქტიურია ნაციონალური მოძრაობა. ძალებს არ იშურებენ ასევე ამ პარტიიდან გამოყოფილი ორგანიზაციები. ეს ერთნაირი მენტალობის ხალხია. 20 და 25 წლის წინ ზოგი მათგანი სტუდენტი იყო, ზოგი სხვა საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ამ ადამიანებს ადრეც ახასიათებდათ ის, რომ ისინი გამოდიოდნენ საკუთარი სახელმწიფოსა და ერის წინააღმდეგ. ახლა ისინი აქტიურ პოლიტიკაში არიან და აგრძელებენ თავიანთ დამანგრეველ და კრიმინალურ მოქმედებებს.

***– პარლამენტი არ ჰყოფნით ამისათვის?***

– პარლამენტის ოპოზიციაში ყოფნა ნაციონალებისათვის საკმარისი არ არის. მათ ძალაუფლება და გადაწყვეტილებების მიღება უნდათ. ამისათვის სინჯავენ ნიადაგს და აწყობენ სხვადასხვა აქციას. ადამიანის უფლებების დაცვა ამ პირებისათვის კამუფლაჟია. მათი მოქმედებები მიმართულია სახელმწიფოს დაკნინებისაკენ. ნაცმოძრაობასა და მის თანამოაზრეებს ისევ აწუხებთ რევანშისტული მისწრაფებები და ამისათვის ისინი ქუჩას იყენებენ.

***– აქციებს აგრძელებს პარლამენტში წარმოდგენილი კიდევ ერთი პარტია, პატრიოტთა ალიანსი. 15 ოქტომბერს ბათუმში გამართულ მიტინგზე მათ პრემიერ კვირიკაშვილისა და მთავრობის გადაყენებაც მოითხოვეს..***

– ეტყობა, კვირიკაშვილის გადაყენების მოთხოვნა მათ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. ეს მოთხოვნა არ მესმის. ახლანდელ პრემიერს მივიჩნევ კორექტულ, კომპეტენტურ და ერუდირებულ პირად. მთავარი ისაა, რომ საზოგადოებას უკვე შესწევს თეთრისა და შავის გარჩევის უნარი. პარტია თავის მოთხოვნებში ზომიერი და რეალისტური უნდა იყოს.

ჩემთვის გაუგებარია პატრიოტთა ალიანსის მოთხოვნა ნატო-რუსეთი-საქართველოს დიალოგის ფორმატის შექმნის თაობაზე. ნატო და რუსეთი ერთმანეთთან გარკვეულ დონეზე ისედაც დიდი ხანია, თანამშრომლობენ. ჩვენ მოგვისმენია განცხადებები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რუსეთის შესაძლო გაწევრიანებაზეც კი. საქართველოს ამ საკითხებს არავინ ეკითხება. ჩვენ ხიფათის წინაშე ვდგავართ, მაგრამ ამისათვის ასეთი მოთხოვნები კი არ უნდა წამოვაყენოთ, არამედ, სხვა ზომები მივიღოთ. ხელისუფლებას ყველა შემთხვევისათვის უნდა ჰქონდეს შემუშავებული სცენარი – ოპტიმისტური, პესიმისტური და რეალისტური. მოქმედებები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, მათ შორის, სისტემური და სიტუაციური. ახლა სიტუაციური მოქმედებების დროა.

***– პრემიერის სახლში გაშვების მოთხოვნა რას ნიშნავს?***

– ეს პოლიტიკური ბრძოლაა. ალბათ, მათ უნდათ, თავი დაიმკვიდრონ მთავარ ოპოზიციად.



***– ხელისუფლება სცენარებზე ნაკლებად ფიქრობს?***

– ხელისუფლებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მომზადებული სცენარები. მათი გასაჯაროება სავალდებულო არაა იმ დროს, როცა ამდენი ჩასაფრებული გვყავს. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოიზიდოს პროფესიონალები და კარგი სპეციალისტები ყველა სფეროში. ამ მხრივ მივესალმები გადაწყვეტილებას ირაკლი მექვაბიშვილის მთავარ აუდიტორად დანიშვნის შესახებ. ახლა ვხვდები ერთ დოქტორანტს. კარგი იქნება, თუ მისი და სხვა ახალგაზრდების ცოდნა ქვეყანას გამოადგება. თუ ამ ხალხს არ გამოვიყენებთ, ისინი საქართველოს დატოვებენ.

სააკაშვილმა ყელი გამოჭრა განათლებასა და მეცნიერებას. კარგა ხანია, ქვეყანაში განათლება, მორალი და პატრიოტობა არათუ არ ფასობს, არამედ, დასჯადი გახდა. ნაციონალები გაიძახიან, მართვის გამოცდილება გვაქვსო. ეს აბსურდია. ამით ისინი საკუთარ თავს უვრცელებენ ჭორს. მათ საქმის კეთების გამოცდილება არ გააჩნიათ. ახლა რევოლუციის იმიტაციას ახდენენ. ზოგიერთმა წვერი მოუშვა და რევოლუციონერის იმიჯი შეიქმნა. 15 ოქტომბერს შეიკრიბნენ და ბევრი იყვირეს, მაგრამ ხალხი ისევ ვერ მოაგროვეს. აუჩემებიათ, საკრებულოში არ შეგვიშვესო. ნაციონალებს საკრებულოში შესვლა კი არა, შეჭრა უნდოდათ. ამაზე ღირსეული პასუხი ვერ მიიღეს. ამის მაგივრად მოისმენდით სხვა აბსურდულ შეფასებებს. მაგალითად, საკრებულოს რესპუბლიკელი წევრის, სამნიძისაგან. ამ ადგილობრივი არჩევნების წინ რესპუბლიკური პარტიისაგან გამაოგნებელ გამონათქვამებს ვიგებთ.

***– ეკლესიის თემას გულისხმობთ?***

– პირველ რიგში, ამ თემას. ამ ჩემი ცოდვით სავსეებს, ფული აქვთ აღებული იმაში, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას ებრძოლონ. ეკლესიის თემას იყენებენ იმიტომ, რომ ამაში დაფინანსებას იღებენ. ეს რესპუბლიკელების ბოლო გაბრძოლებაა. ისინი ვერასდროს გაიმარჯვებენ არჩევნებში.

# მამუკა გამყრელიძე: „არავის საქმე არ არის, რუსეთში ფულს ვშოულობ თუ არა“

## „როცა რუსეთის მოქალაქე აღარ ვიქნები, პოლიტიკაში მაშინ მოვალ“

ნონა ცაბაძე

ყოფილი დიპლომატის, მამუკა გამყრელიძის განცხადებამ, რომ ის დღესაც რუსეთის მოქალაქეა და იქ უძრავ ქონებას ფლობს, საზოგადოებაში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

„ახალი თაობა“ ამ და სხვა საკითხებზე **მამუკა გამყრელიძეს** ესაუბრა.

***– ბატონო მამუკა, ძალიან ბევრმა გაგაკრიტიკათ იმის გამო, როდესაც განაცხადეთ, რომ თქვენ რუსეთის მოქალაქე ხართ და იქ უძრავ ქონებასაც ფლობთ. ითქვა ისიც, რომ თავის დროზე სწორედ ეს გახდა თქვენი ნაციონალური მოძრაობიდან წამოსვლის მიზეზი. ასეა?***

– არა, რა სისულელეა. ეს გადასარევად იცოდა ყველამ, არც არასოდეს დამიმალავს. როდესაც მთხოვეს, რომ სახელმწიფო სამსახურში წავსულიყავი, მაშინ გავაფრთხილე კიდეც. თვითონ მიშამაც იცოდა და სწორედ მან მომცა საქართველოს მოქალაქეობა. მე მაქვს ორმაგი მოქალაქეობა და ეს ყველამ ძალიან კარგად იცოდა. ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ ყოფილა. მე ამით კანონს არ ვარღვევ.

***– რატომ არ დატოვეთ რუსეთის მოქალაქეობა?***

– მე ეს ავხსენი გარკვევით. იქ მე მაქვს უძრავი ქონება და მოქალაქეობის დატოვების შემთხვევაში, მე ვნახავდი ზარალს. ეს სუფთა მატერიალური მომენტია, რომ დავტოვო მოქალაქეობა, უნდა გადავუხადო ძალიან დიდი გადასახადები რუსეთის მთავრობას, რისიც არანაირი სურვილი არ გამაჩნია.



***– სხვებს მოძღვრავენ, რუსეთუმეებს ეძახიან და თავად რუსეთის მოქალაქეები არიანო. ამაზე რით უპასუხებდით?***

– მე ამ ყველაფერს ვაკავშირებ არჩევნებთან. არჩევნების წინ ცდილობენ რაღაცნაირად შემოგვიტიონ. ამოსწიონ ჩემი პუბლიკაციები, ფეისბუქ სტატუსები, არც ერთხელ არ მითქვამს ის, რომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენს მოქალაქეებს ბიზნესი უცხოეთში და ასე შემდეგ. ყოველთვის ამას ვამბობდი, პირიქით, რაც მეტ ფულს იშოვით რუსეთში, მით უკეთესია. იქიდან წამოიღეთ რაც შეიძლება მეტი, აქედან ნუ მისცემთ წასაღებად. რაც შეეხება წინააღმდეგობას, წინააღმდეგი ვიყავი თავიდანვე, ახლაც ვარ და ვიქნები ცალმხრივი ვიზალიბერალიზაციის ჩვენი მხრიდან რუსეთის მიმართ.

***– სააკაშვილი ხომ იყო თანახმა ამაზე?***

– მიუხედავად იმისა, რომ მიშა თვლიდა, რომ ეს ცალმხრივი მიმოსვლა და ვიზების მიცემა კარგია, იმ დროს შესაძლოა ეს მისაღები იყო, რადგან მაშინ სპეცსამსახურები მუშაობდნენ. კონტრდაზვერვა ბრწყინვალედ მუშაობდა და ასეთი საშიშროება, არასასურველი ელემენტების რუსეთიდან შემოდინების, არ იყო.

***– დღეს არის?***

– ახლა, როდესაც პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურეს კონტრდაზვერვა, ასეთ პირობებში რუსეთიდან გაიზარდა შემოდინება იქაური სპეცსამსახურების და ახლა ძალიან ცუდია ეს ცალმხრივი უვიზო მიმოსვლა. რუსეთმა ჩვენ არაფერი არ მოგვცა.

***– სააკაშვილის არასოდეს მოუთხოვია თქვენთვის, რომ დაგეტოვებინათ რუსეთის მოქალაქეობა?***

– არასდროს არ დაუყენებია! როდესაც მე ვუთხარი, დიპლომატიურ სამსახურში არ შეიძლება რომ იყოს რუსეთის მოქალაქე, მან მითხრა, რომ ეს კანონის დარღვევა არ არის და ამიტომ არანაირი პრობლემა არ იქნებაო. ამას სააკაშვილიც დაადასტურებს, რომ ასე იყო.

***– მაშინ რატომ გახდა დღეს ეს თემა აქტუალური და რატომ წამოგაძახეს რუსეთის მოქალაქეობა?***

– ალბათ არჩევნების გამო. აქტიურად მლანძღავენ ევროპული საქართველოს წარმომადგენლები და ცალკე კიდევ ქოცები. არჩევნებია და ეს ჩვეულებრივი ამბავია, როგორც კი გადაივლის არჩევნები, აღარავის ემახსოვრება, მამუკა გამყრელიძე რუსეთის მოქალაქე არის თუ არ არის. მე ეს არასდროს დამიმალავს. ეს ვიღაცას დაჭირდა და გამოიყენეს. რაც მეტ ფულს შემოიტანენ რუსეთიდან, მით უკეთესი, ამის აკრძალვა არ შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება ასე გაუღო კარი და შემოუშვა ყველა შენს სახლში, რომ ითარეშონ. რა, ხანძრები რომ იყო, კარგი იყო?!

***– ხანძრებს რუსებს უკავშირებთ?***

– არ დაფიქრებულა არავინ ამაზე, რა და როგორ მოხდა?! ან ეს ფაროსანა რომ უცბად აღმოჩნდა და მოედო მთელ სამეგრელოს, არავინ კითხულობს, იქნებ დივერსია იყო?! კითხვები ნამდვილად ჩნდება. ხალხი კი, სადაც ბევრ ფულს იშოვნის, მე ამით გახარებული ვიქნები. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. აქედან ნურაფერს გაატანენ და ქვეყანას ნუ დაარბევინებენ.

***– თქვენ იქ ფულს შოულობთ?***

– მოგახსენებთ, მე პოლიტიკოსი არ ვარ და არც სახელისუფლო მოხელე. ამიტომ არავის საქმე არ არის, მე სად მაქვს ქონება, რამდენი და სად ვშოულობ და როგორ ვშოულობ ფულს. არ ვარ ვალდებული, ვინმეს ჩავაბარო ანგარიში. სწორედ ამიტომ არ ვარ არჩევითი ფიგურა, არსად არ ვაყენებ ჩემს კანდიდატურას, რადგან ვარ რუსეთის მოქალაქე. ეს თემა კი მავანმა წინასაარჩევნოდ წამოწია. როდესაც აღარ ვიქნები რუსეთის მოქალაქე, ამის შემდეგ მოვალ აქტიურ პოლიტიკაში.

# ირაკლი ალასანია: „ეს 24-წლიანი ჭრილობა დღეს, მართლაც დაიხურა, აქ ყველა გმირია“

– მე ბედნიერი ვარ, რომ მამაჩემი სხვებთან ერთად დაუბრუნდა თბილისს. ისინი ხალხის, ქვეყნის მიმართ სიყვარულის გამო დარჩნენ სოხუმში, – ამის შესახებ ჟურნალისტებს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განუცხადა.

დაღუპულთა შორის არის ირაკლი ალასანიას მამა, მინისტრთა საბჭო/სახელმწიფო საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის რეგიონული კურატორი მამია ალასანია. ირაკლი ალასანიამ დაღუპული პირების გმირული ქმედებები კიდევ ერთხელ გაიხსენა და მადლობა გადაუხადა იმ პირებს, ვინც 25 ქართველი გმირის აფხაზეთიდან თბილისში გადმოსვენების ღონისძიებებში წვლილი შეიტანა.

– ეს 24-წლიანი ჭრილობა დღეს, მართლაც დაიხურა. აქ ყველა გმირია. არიან ავლანელი ვეტერანები, რომლებმაც დაიცვეს სოხუმი და შენობა, აქ არიან მთავრობის წევრები, ვინც არ დატოვეს სოხუმი და იყვნენ ბოლომდე სოხუმის მცველებად. მე ბედნიერი ვარ, რომ მამაჩემი სხვებთან ერთად დაუბრუნდა თბილისს. ისინი ხალხის, ქვეყნის მიმართ სიყვარულის გამო დარჩნენ სოხუმში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო წითელ ჯვარს, მათ, ვინც უდიდესი და ურთულესი საქმე გააკეთა. ასევე სასულიერო, საერო ხელისუფლებას, საზოგადოებას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა და დააფასა მათი გმირობა. მე მგონია, რომ სწორედ, ასეთი ადამიანების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზეთიდან გადმოსვენებულ გმირებს დიღმის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

აფხაზეთიდან გადმოსვენებული 25 პირის ვინაობა დევნილთა სამინისტრომ გამოაქვეყნა. აფხაზეთიდან თბილისში გადმოსვენებული არიან:

**1. გაბესკირია გურამ ნიკოლოზის ძე** – მინისტრთა საბჭო/ქ.სოხუმის მერი;

**2. ალასანია მამია გიორგის ძე** – მინისტრთა საბჭო/სახელმწიფო საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის რეგიონალური კურატორი;

**3. შენგელია არშაველი ფილიპეს ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას მოადგილე და მინისტრთა საბჭოს სამდივნოს წევრი;

**4. გეგელაშვილი ვახტანგი ვახტანგის ძე** – მინისტრთა საბჭო/მინისტრთა საბჭოს მოადგილე;

**5. პაპუაშვილი გივი არჩილის ძე** – სოხუმის რკინიგზის სადგური/მებრძოლი;

**6. ბერუაშვილი ბადრი** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი (მოადგილე);

**7. მაჩაიძე გოჩა იოსების ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**8. ფარცვანია ალექსანდრე დავითის ძე**– მინისტრთა საბჭო/ აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრის-რაულ ეშბას პირადი დაცვა;

**9. თათრიშვილი გოჩა გურამის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**10. ლიპარტელიანი გენადი ვალიკოს ძე** – მებრძოლი;

**11. ჯორბენაძე თეიმურაზი ზურაბის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**12. კვინიკაძე მერაბი კარლოს ძე** – მინისტრთა საბჭო/პირადი მცველების „იუპიტერის“ დანაყოფის განყოფილების უფროსი (ჟიული შარტავას დაცვა);



**13. სილაგაძე სერიოჟა პლატონის ძე** – სოხუმი/ახალი რაიონი/მებრძოლი;

**14. სოფრომაძე ბესიკი მამიას ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**15. გოჩიაშვილი დავითი მიხეილის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**16. აბსანძე თენგიზი გივის ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას დაცვის წევრი, დანაყოფი „იუპიტერი“;

**17. ფარცვანია ვახტანგი კონსტანტინეს ძე** – მინისტრთა საბჭო/ აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრის-რაულ ეშბას პირადი დაცვა;

**18. გიგოლაშვილი ომარი ოთარის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**19. ხახიაშვილი ნოდარი ვლადიმერის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**20. ჭუჭულაშვილი ნუგზარი როლანდის ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**21. ნადირაძე შალვა მერაბის ძე** – მებრძოლი;

**22. მირზაშვილი კობა ნიკოლოზის ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას დაცვა, დანაყოფ „იუპიტერის“ წევრი;

**23. შარტავა ელგუჯა გივის ძე** – მინისტრთა საბჭო/ჟიული შარტავას დაცვა, დანაყოფ „იუპიტერის“ წევრი;

**24. შალვაშვილი ხვიჩა იოსების ძე** – მინისტრთა საბჭო/ავლანელთა ბატალიონი;

**25. მოსიძე მარია ვასილის ასული** – მშვიდობიანი მოქალაქე.

# „არჩევნების შემდეგ ნაციონალები დაიშლებიან“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამ ხელისუფლებაში მეც ბევრი რამე არ მომწონს. არ მომწონს, რუსეთთან დიალოგს რომ არ აწარმოებენ, არ მომწონს ფსევდოლიბერალური გადმონაშთები, არ მომწონს, სამართლიანობა რომ არ აღადგინეს.

***– გამოდის, რომ არ მოგწონთ ეს ხელისუფლება და მხარს რატომ უჭერთ?***

– იდეალური ხელისუფლება არსად არ არის. ნაკლი ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა, მას საკადრო პოლიტიკაში ჰქონდა შეცდომები. ყველა ხელისუფლებას აქვს მინუსი.

ბევრი რამე არ მომწონს, მაგრამ, როგორც უფლებადამცველს, მომწონს ის, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები არის დაცული. პატიმრებს აღარ აწამებენ, ინფრასტრუქტური სამუშაოები მიდის.

***– ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაციონალების დროსაც მიდიოდა, მაგრამ მაშინ ყველა იმას გაიძახოდა, ასფალტი ვჭამოთო.***

– მიშას დროს ისეთი საშინელებები ხდებოდა, ყველა წარმატებას ფარავდა. „ოცნების“ და ნაციონალების ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება.

საბოლოო რეზიუმე რომ გავაკეთოთ, ნაციონალების დღეები დათვლილია. ამათი ამბავი რომ ვიცი, როგორც კი არჩევნები დამთავრდება, ისინი ერთმანეთს დაეტაკებიან.

***– ერთმანეთს ვინ დაეტაკება, ნაციონალები და „ევროპული საქართველო“?***

– თავად ნაცები. ამ შემთხვევაში მე ევრონაცები არ მყავს მხედველობაში.

***– „ქართული ოცნების“ მსგავსად, „ევროპული საქართველო“ რატომღაც თქვენც დაივიწყეთ.***

– არაფერი არ დამივიწყებია. უბრალოდ, მათ სათვალავშიც კი არ ვაგდებ. რას წარმოადგენენ, რომ ვახსენო ან გავაკრიტიკო. ნაციონალური მოძრაობა არჩევნების შემდეგ დაიშლება.

***– მათ დაშლას ჯერ კიდევ 2013 წელს ვარაუდობდნენ.***

– არ დაიშლებიან და საფრთხობელას როლში იქნებიან, რაც ხელისუფლების ინტერესებში შედის. საინტერესოა, რატომ აძლევენ ხელისუფლებას თავის გამოყენების უფლებას.

***– იქნებ შეკრულები არიან? „ოცნება“ პორტირებული ნაცებითაა სავსე.***

– შეკრულები არიან თუ შემოკრულები, არ ვიცი. დამთავრდება არჩევნები და გაიხსენეთ ჩემი სიტყვები – ნაციონალების შიგნით დიდი განხეთქილება მოხდება. ისიც იცოდეთ, რომ ნაციონალების დიდ ნაწილს მიშა დასანახად არ უნდა.

***– სამაგიეროდ, ივანიშვილს უნდოდა კარგა ხანს მისი ყურება.***

– სააკაშვილი არც ივანიშვილს არ მოსწონდა, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა არ სურდა. ამიტომაც, შეცვალა თუ არა ხელისუფლება, პოლიტიკიდან წავიდა. ახლა რომ გაიძახიან, ქვეყანას ისევ ეგ მართავსო, ეგ რომ სდომნოდა, პრემიერობიდან გადადგებოდა? კაცმა მოაშორა ქვეყანას ჭირი და წავიდა. ახლა იმაზე აუტეხეს ერთი ამბავი, პუშკინის სკვერში მიწისქვეშა გარაჟს რატომ აშენებსო.

ამ ნაცებმა დააპირეს იგივეს გაკეთება და ვინმემ ხელი შეუშალა? მაგრამ მათი საქმე ხომ სხვისთვის ხელის შეშლაა. თავად ხომ არაფერს არ აკეთებენ და სხვასაც ხელს უშლიან. ივანიშვილი იმით ტკბება, რომ ქვეყანას რაღაცას უშენებს, ესენი ხალხის გაუპატიურების კადრებით ტკბებოდნენ.

***– ის გამაუპატიურებლები რატომ არ დაიჭირეს?***

– ვინ არ დაიჭირეს, რამდენი ჯალათია ციხეში. ძალიან ბევრი გაიზიარებს მათ ბედს.

***– მეგიზ ქარდავას კვალს დღემდე რატომ ვერ მიაგნეს?***

– არაა ეგ ადვილი ამბავი. ნაცისტების დიდი ნაწილი დიდი ხნის შემდეგ დააკავეს, არადა მათ მთელი მსოფლიო დასდევდა. ვიღაცა ყოველთვის გაიპარება, მაგრამ დაუსჯელი არავინ რჩება.

# დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტროდან დახვრეტით დამემუქრნენ“

გულიკო ბალაძე

შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერი, სამხედრო ექსპერტი **დავით ნემსაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროდან დაურეკეს და დახვრეტით დაემუქრნენ, რაც მან საპატრულო პოლიციას შეატყობინა და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

დავით ნემსაძის განცხადებით, პიროვნება, რომელიც დაემუქრა, თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მმართველ რგოლშია.

— არასამთავრობო ორგანიზაცია „შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფი“ თავდაცვის სამინისტროს კონტროლს ვახორციელებთ. ორგანიზაციაში შემოდის წერილები და წერილების საპასუხოდ განცხადებებს ვავრცელებთ. ვიღაცას არ მოეწონა ჩვენი განცხადებები, რომლებიც კეთდება არგუმენტირებულად. ამიტომ თავდაცვის სამინისტროდან დამირეკეს და განადგურებით დამემუქრნენ, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერი, სამხედრო ექსპერტი თავით ნემსაძე.

***— ნამდვილად თავდაცვის სამინისტროდან დაგიკავშირდნენ და დაგემუქრნენ?***

— დიახ, დამირეკეს, მითხრეს, რომ თავდაცვის სამინისტროდან მიკავშირდებოდნენ. თავდაცვის სამინისტროდან პიროვნება დამიკავშირდა და ჩემთან შეხვედრა მოითხოვა. მიზეზად ჩემი პუბლიკაციები დაასახელა, რაც კეთდება ჩვენს მიერ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესზე. ეს ადამიანები იყვნენ თავდაცვის უწყების წარმომადგენლები, ამიტომ ვუპასუხე, რომ ჩემთან, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან, შეხვედრა ხდებოდა თავდაცვის უწყების ოფიციალური წერილის საფუძველზე. მე უწყების თანამშრომლებთან რამე განსხვავებულ ურთიერთობებს არ ვაყალიბებ. ამის შემდეგ განხორციელდა ზარი და კონკრეტული პერსონა მეუბნება, დაგხვრეტთ, დაგაინვალიდებთ, „კალიასკაში“ ჩაგსვამთ იმ პუბლიკაციების გამო, რაც გუშინ, გუშინწინ გააკეთეო.

***— მუქარა როგორ მიიღეთ?***

— ძალიან არასასიამოვნო ფაქტია, როდესაც თავდაცვის უწყებიდან ასეთი მუქარა ისმის. ეს არის ამაზრზენი. ამიტომ იძულებული გავხდი, მუქარის შესახებ საპატრულო პოლიციისთვის შემეტყობინებინა. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა იმოქმედა წესის მიხედვით. საქმე ახლა გამოძიებაშია.

***— ვინც გემუქრებოდათ, ის პიროვნება დაკითხეს?***

— პერსონა პოლიციაში დაიბარეს. ის გზიდან შეურაცხმყოფელ მესიჯებს მიგზავნიდა და კიდევ მემუქრებოდა. მას სამართალდამცავები არაფრად მიაჩნდა. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ველარ ეტევიან იმ შემოგარენში, რასაც უწყება ჰქვია. ისინი გადადიან ყველანაირ დემოკრატიულ ფარგლებს. აღიზიანებთ მხილება, დემოკრატიული კონტროლი და ვერ შეუგნიათ, რომ ახლა ახალაიას დრო არ არის.

***— რასთან დაკავშირებით ამხელთ?***

— ბევრ რამეზე. მით უმეტეს, ისეთ ვინმეებს აწინაურებენ, ვისაც თავის დროზე პოლიტიკური რეპრესიები აქვს განხორციელებული.

***— მაგალითად, ვინ?***

— მაგალითად, ხურციძე, რომელიც არის ბრიგადის მეთაური და ბევრი სხვაც.

***— ხურციძე გემუქრებოდათ?***

— არა, ხურციძე არ იყო. ამ ეტაპზე მის გვარს არ დავასახელებ. ეს იციან სამართალდამცავებმა, ვინც მემუქრებოდა. იმ კონკრეტულ პერსონას სააკაშვილთან და ბარნოვთან ჰქონდა შეხება, რომელიც სამხედრო აკადემიის რექტორი იყო.

***— ამ მომენტისთვის ჰქონდა შეხება სააკაშვილთან და ბარნოვთან, თუ ზოგადად?***

— ზოგადად ჰქონდა შეხება. არ მინდა შევაფასო, მათ შორის რა დონის ურთიერთობა იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ადამიანები ჩემს ტელეფონზე ხშირად არ რეკავენ.

***— პირველად დაგემუქრნენ?***

— აქამდე სხვადასხვა სახით მემუქრებოდნენ, მაგრამ სერიოზულად არ ჩამითვლია. თავიდან მეგონა, ეს მუქარაც არ იყო რეალური, მაგრამ იმდენად დაინტერესებულია უწყება ჩემი დისკრედიტაციით, იმდენად დაინტერესებულია უწყება ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის დისკრედიტაციით, რომ ბრძოლის ამ მეთოდს იყენებს, რომ გალანძღოს სამოქალაქო სექტორი.

***— ანუ პიროვნება, რომელიც მუშაობს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროს სახელით დაგემუქრათ.***

— ვინც არ მუშაობს თავდაცვის სამინისტროში, მისი სახელით ვერ ილაპარაკებს.

***— თქვა, თავდაცვის სამინისტროს სახელით ვმოქმედებო?***

— ორჯერ დამირეკა და ორჯერვე გავუმეორე, იყო თუ არა უწყების თანამშრომელი. ის წოდებით პატარა პიროვნება არ არის.

***— რა თანამდებობაზე მუშაობს?***

— ის გენერალური შტაბის მმართველ რგოლშია დანიშნული. ასე რომ, მას ყველაფერი კარგად ჰქონდა გაცნობიერებული იმ მუქარის შესახებ, რასაც თავდაცვის სამინისტროდან ახორციელებ-



და. მან დაასახელა ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ის ამით ინტერესდება და შეურაცხყოფებიც ამიტომ იყო. გუშინდელ, გუშინწინდელ პოსტებს კითხულობენ და ამიტომ ჰქონდათ არაკანონიერი და არაორდინალური რეაქცია. რამდენჯერმე მოვუწოდე, კანონის ფარგლებში ემოქმედა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გაითვალისწინა.

***— თქვენს პუბლიკაციებში იმ პირის მიმართ რაიმე პიროვნულად შეურაცხმყოფელი ხომ არ იყო?***

— არა, არანაირად. შეურაცხმყოფელი და საგინებელი არაფერია არავის მიმართ, ჩვენს პუბლიკაციებში იწერება, როგორი უნდა იყოს უწყება, როგორ არ უნდა იყოს უწყებაში ნეპოტიზმი, როგორ არ უნდა იმართებოდეს თავდაცვის სისტემა და ისმის კითხვები გარკვეული პერსონების კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით.

***— თქვენ ამბობთ, რომ დააწინაურეს ისეთი პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა ხელისუფლების დროს ჩადენილ დანაშაულობებში.***

— მაგალითად, ბატონმა ხურციძემ, რომელიც არის ერთ-ერთი ბრიგადის მეთაური, სამ თვეში მიიღო სამი წოდება. ყოვლად წარმოუდგენელია, ადამიანმა ჩვეულებრივ სიტუაციაში სამ თვეში სამი წოდება მიიღოს. ამ პირის მიმართ ჰქონდათ პრეტენზიები, სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, რომლებიც ძალიან უმოტივაციოდ დაიხურა. ის მსახურობდა შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზაზე. ეს არ არის ის, რასაც 2012 წლის მოლოდინი აჩენდა საზოგადოებაში.

***— იქნებ გამოძიებით არ დადასტურდა ამ პირის მიმართ წარმოშობილი ეჭვი?***

— როგორ არ დადასტურდა. გარკვეული პიროვნებები ამის თვითმხილველები გახლდნენ. შემიძლია უფრო სიღრმისეულადაც ვილაპარაკო, მაგრამ იმ ადამიანებისგან ნებართვა არ მაქვს, ვისი სახელები და გვარებიც უნდა დავასახელო. გამოძიების პროცესის მიმართ ნდობა, რომელსაც სამხედრო პოლიცია აწარმოებს, ძალიან დაბალია. რიგ შემთხვევებში მათი ქმედებები სამართლებრივად გამყარებული არ არის. ეჭვი არის, რომ დანაშაულობებს ფარავენ.

***— სამხედრო პოლიციაში იყო მოკვლევა დაწყებული თუ პროკურატურაში?***

— პროკურატურა საქმეს იკვლევს სამხედრო პოლიციის მეშვეობით.

***— რატომ ფიქრობთ, რომ საქმე საეჭვოდ დაიხურა? რა იყო საეჭვო?***

— სამ თვეში სამი წოდება ნორმალურად გეჩვენებათ?

***— რა წოდებები მიანიჭეს?***

— სამ თვეში მიანიჭეს მაიორის, ვიცე-პოლკოვნიკისა და პოლკოვნიკის წოდებები. ნორმალურია? საეჭვოა იმიტომ, რომ სამხედრო პოლიციას მართავენ არაკომპეტენტური ადამიანები. მისი ხელმძღვანელები ხდებიან მინისტრის მეგობრები და ნათესავები, რომლებიც საეჭვოა, შეიარაღებული ძალების სპეციფიკასთან რაიმე კავშირში იყვნენ. ამიტომ ხდება მათი საქმიანობა საეჭვო.

***— ხურციძე მინისტრის მეგობარია?***

— ხურციძეს მეგობრები პოლიტიკურ წრეებში აღმოაჩნდა. ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

მინისტრი ახალია, თავდაცვის სისტემასთან ადრეც არ ჰქონდა შეხება. სამხედრო პოლიციის უფროსი, ბატონი კარიაული, არის ბატონ იზორიას უფროსი. პირადად ბატონ ხურციძეს კი მეგობრები პოლიტიკურ სივრცეებში აღმოაჩნდა.

***— პოლიტიკურ წრეებში ხურციძის მეგობრები ვინ არიან?***

— ამ ეტაპზე არ ვიტყვი. შემდეგ აუცილებლად დავასახელებ.

***— მეგობრებს უფრო ენდობიან?***

— რა შუაშია მეგობრებისადმი ნდობა. როცა დანაშაულია ჩადენილი, პასუხი უნდა გაეცეს.

***— თქვენ თქვით, პოლიციამ რეაგირება მოახდინაო.***

— დიახ, პროკურორი საქმის კურსში ჩააყენა.

***— რას მოითხოვთ?***

— მე არ მოვითხოვ მის გათავისუფლებას. მე მოვითხოვე მისი წერილობითი ბოდიში.

# მამა გიორგი მამალაძე: „მეუფე იაკობი მრისხანებას ვერ მალავდა, როდესაც მე საპატრიარქოს ქონების მართვა დამავალა უწმინდესმა, მე ველოდები მეუფე დიმიტრის“

რეალური დანაშაული თუ დანაშაულებრივი გეგმა ეკლესიის დასამორჩილებლად — საუკუნის საქმე, რომელიც საქართველოს ისტორიაში 21-ე საუკუნის საპატრიარქოს სკანდალის სახელით შევა. თუმცა, რამდენად იყო ეს მხოლოდ საეკლესიო და არა პოლიტიკური ინტერესის საგანი, ამას დრო გვიჩვენებს, ერთი რამ ფაქტია, ციანიდის საქმემ საზოგადოებაში კითხვები დატოვა, რომელზეც სასამართლოს ამ დრომდე პასუხები არ გაუცია.

სამაგიეროდ, საზოგადოებისთვის მოულოდნელად დღის სინათლეზე გამოვიდა საპატრიარქოში არსებული საკითხები, რომლებზეც ღიად უკვე მაღალი სასულიერო იერარქებიც საუბრობენ.

„ციანიდის საუკუნის საქმე“ და დეკანოზი გიორგი მამალაძე, რომელიც დღეს მსჯავრდებულია.

„ნიუპოსტმა“ მამა გიორგისთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა, სადაც დეკანოზი იმედს იტოვებს, რომ ამ საქმეს ნათელი აუცილებლად მოეფინება. მამა გიორგი საქმეში არც პოლიტიკურ ინტერესს გამორიცხავს და არც სპეცსამსახურების კვალს საპატრიარქოში...

***— „ჩვენ მოვახერხეთ, სასამართლოზე ჩემი უდანაშაულობის დადასტურება“ — ამის შესახებ თქვენ ერთ-ერთ საინფორმაციო საშუალებას განუცხადეთ, უფრო კონკრეტულად, რას გულისხმობთ გამარჯვებაში და როგორ აფასებთ მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებას?***

— მე გამარჯვება არ მიხსენებია. მე ვთქვი, რომ ადვოკატებთან ერთად, სამართლებრივად სასამართლოზე ჩემი უდანაშაულობა დავადასტურეთ, გავაბათილეთ პროკურატურის ყველა ბრალდება. ეს სასამართლო სხდომის ოქმში კარგად ჩანს. რაც შეეხება მოსამართლის გადაწყვეტილებას, როგორც ჩანს, ძალიან ძლიერი იყო მასზე ზეწოლა.

***— ციანიდის საქმის ირგვლივ საზოგადოებაში დღითიდღე ჩნდება ვარაუდი, რომ თქვენ არა დამნაშავე, არამედ მსხვერპლი ხართ. თქვენი აზრით, ვის ან რა ინტერესს შეეწირეთ?***

— როგორც აღმოჩნდა, არაერთი მხარის ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს ამ მზაკვრულ გეგმაში.

***— მზაკვრული გეგმა ახსენეთ და სწორედ ამ გეგმაში მოიაზრებენ შორენა თეთრუაშვილს, თქვენ არ ხართ პირველი, ვინც მას უპირისპირდება. ეპისკოპოსების უმრავლესობისთვის მიუღებელია პატრიარქის მდივან-რეფერენტის „განუზომელი ძალაუფლება“. თუ კი ეს ასეა, მაშინ რატომ სდუმან მაღალი სასულიერო იერარქები?***

— დღეს ეკლესიის წიაღში ყველამ იცის, ვინ რას წარმოადგენს. შორენა თეთრუაშვილის საკითხი არც ჩემით დაწყებულა და არც ჩემით დამთავრდება. იმედია ერთ დღეს ეყოფათ გამბედაობა და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევენ.

***— შორენა თეთრუაშვილი თავის ჩვენებაში ყვება, რომ მას თქვენი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. არსებობდა თუ არა თქვენ შორის აზრთა სხვადასხვაობა და იყო თუ არა ის თქვენთან დაპირისპირებული პირი?***

— შორენა თეთრუაშვილთან აზრთა სხვადასხვაობა, რასაკვირველია, გვქონდა, თუმცა არა ისეთი, რის გამოც სასიკვდილოდ შეიძლება გაიმეტო ადამიანი.

***— საზოგადოებას აქვს ლოგიკური კითხვა: პატრიარქის უდავო ავტორიტეტიდან, ეკლესიისა და ერის წინაშე მისი დამსახურებიდან გამომდინარე, რატომ ვერ უმკლავდება მისი უწმინდესობა იმ პრობლემებს, რაც უკვე აშკარაა და სერიოზულად დაგროვილია საპატრიარქოში (პატრიარქის განცხადებები ხშირ შემთხვევაში თქვენი მხარდამჭერიცაა, თუმცა ეს ქმედებებში არ ასახულა)?***



— უწმინდესი ბრძენი ადამიანია. მან ყველაფერი დაზუსტებით იცის. ის სიმშვიდითა და მოთმინებით ელოდება დროს, როდესაც ის იტყვის თავის სათქმელს.

***— არსებობს ვარაუდი, რომ ეს ყველაფერი პატრიარქის ანდერძის გამო ხდება, თქვენ თუ ეთანხმებით ამ ვარაუდს?***

— პატრიარქის ანდერძზე ჩემი მხრიდან საუბარი უზნეობა იქნებოდა. მისი უწმინდესობა ჩვენთან არის და დღეგრძელი იყოს.

***— როგორც ირკვევა, პატრიარქმა დაჟინებით მოითხოვა თქვენი ბათუმის ეპარქიიდან საპატრიარქოში გადმოყვანა. თქვენ საპატრიარქოში დარღვევები აღმოაჩინეთ, მოასწრათ ილია მეორესთვის არსებული სურათის გაცნობა? და ზოგადად საპატრიარქოს ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლისას მათში სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნები თუ იკვეთებოდა?***

— საპატრიარქოში უწმინდესის სურვილით გადმოვედი. დარღვევები მრავლად აღმოჩნდა სისტემაში. ნაწილი ამ საქმეებისა უწმინდესს, რასაკვირველია, შევატყობინე, თუმცა ასეთი მასშტაბის საკითხების გადაწყვეტა კანონიკური სამართლის მიხედვით სინოდალურად უნდა მომხდარიყო. აი ეს კი, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. ეს საკითხები ბევრი ადამიანის პერსონალურ დისკომფორტს იწვევდა. დიახ, ეს დარღვევები შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს.

***— მედიაში გავრცელებული ჩანაწერებისა და შორენა თეთრუაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც საპატრიაქროს ქონების განკარგვა მეუფე იაკობს ჩამოერთვა და თქვენ დაგევალათ, ამან მეუფე იაკობი გაანაწყენა. თუ ადასტურებთ ამ ინფორმაციას და თქვენს საქმეში (ციანიდის საქმეში) რა როლი აკისრია ქორეპისკოპოს იაკობს?***

— დიახ, მეუფე იაკობი მრისხანებას ვერ მალავდა, როდესაც მე საპატრიარქოს ქონების მართვა დამავალა უწმინდესმა. უფალი ყველას გასცემს პასუხს, ვისაც რა როლი აკისრია ამ საქმეში.

***— თუ გავიხსენებთ პოლიტიკური თანამდებობის პირების განცხადებებს, ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ერევა ეკლესიის საქმეებში? მეტიც, საპატრიარქოში სპეცსამსახურების გავლენების შესახებ თუ გსმენიათ?***

— ამ შეკითხვაზე პასუხი ჩანს მათ ქმედებებში და საზოგადოება ხედავს ამას. რაც შეეხება სპეცსამსახურების გავლენებს, ეს ხომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, საუბედუროდ.

***— თქვენი გისოსებს მიღმა გამოკეტვა ხომ არ იყო ერთგვარი სიგნალი სასულიერო პირებისთვის?***

— რასაკვირველია, ამ ადამიანებმა ამით ყველას მისცეს სიგნალი, რომ არავინ გაბედოს მათი არაკეთილსინდისიერი საქმიანობის სააშკარაოზე გამოტანა. თუმცა ამაოდ. ღვთის განგებით გამოჩნდებიან კეთილსინდისიერი ადამიანები საპატრიარქოს წიაღში.

***— მეუფე პეტრე საეკლესიო სამართლის ამოქმედებას ითხოვს, გაქვთ მოლოდინი, რომ სხვა სასულიერო პირები მხარს დაგიჭერენ და შეძლებთ თუ არა მათთვის თქვენი უდანაშაულობის დამტკიცებას?***

— საქართველოში მოქმედი საეკლესიო სასამართლო რომ ყოფილიყო, უფრო მკაფიოდ გამოჩნდებოდა სიმართლე, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი სისტემა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას აღარ აქვს უკვე მრავალი ათწლეულია.

***— როგორ ფიქრობთ, რას ფიქრობს თქვენზე პატრიარქი და რატომ ვერ მოხერხდა თქვენი ზიარება?***

— უწმინდესი ბრძენი ადამიანია, მან ყველაფერი დაზუსტებით იცის. ღვთის წყალობით, იმედია, მალე ვეზიარები.

***— მეუფე დიმიტრი შიოლაშვილზეც გკითხავთ. საზოგადოებაში იმასაც საუბრობენ, რომ ეს ყველაფერი მის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. ამასთან, ნაწყენი ხომ არ ხართ სულიერ მამაზე, მან თქვენ არ მოგინახულათ.***

— მე ველოდები მეუფეს, იმედია, მალე მომინახულებს. ის ჩემი გამზრდელი მამა და სულიერი მოძღვარია.

**ნიუპოსტი**

# აჭარაში, სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში სტიქიას ებრძვიან

დასავლეთ საქართველოში უხვი ნალექის გამო მდინარეები ადიდდა. სტიქიას ებრძვიან სამეგრელოში, აჭარაში, იმერეთსა და გურიაში.



იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში ძლიერმა წვიმამ სერიოზული პრობლემები შექმნა. იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ინფორმაციით, დატბორილია ქალაქების ცენტრალური ქუჩები, საავტომობილო გზები, საკარმიდამო ნაკვეთები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და საცხოვრებელი სახლები. ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილია სტიქიასთან ბრძოლის საგანგებო შტაბი და დაწყებულია სალიკვიდაციო სამუშაოები. ასევე, მობილიზებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები.

მეწყრული პროცესი განვითარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში. დაზიანდა საცხოვრებელი სახლი და გზა ჩაიხერგა, ასევე დაზიანებულია გაზის მილები.

– მეწყერსაშიში ზონებია საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაჯითსა და საირხეში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ II სვირში. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმურში და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის გზაზე, სოფელ ხანის მიმართულებით ბოგირი წაიღო წყალმა და მოძრაობა შეფერხებულია, წყალთაშუას მიმართულებით ჩამოსულია მეწყერი. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში წყალმა დატბორა ამბულატორია და საბავშვო ბაღი. ზესტაფონში ქალაქს არ მიეწოდება ელექტროენერგია. შორაპანში დაზიანებულია გზა და ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხებულია, სოფელ ბოსლევში გზაზე მეწყერია ჩამოსული. ამ ეტაპზე იმერეთის რეგიონში ელექტროენერგია რამდენიმე ათას აბონენტს არ მიეწოდება, განსაკუთრებული პრობლემებია ქუთაისში. ადგილზე მუშაობენ ჯგუფები, რათა მოსახლეობას დროულად აღუდგეს ელექტროენერგიის მიწოდება. ჯერჯერობით ზარალის ზუსტი ოდენობა უცნობია, – აცხადებენ გუბერნატორის ადმინისტრაციაში.

უხვი ნალექის გამო, ქუთაისში, მდინარე ოღასკურა კალაპოტიდან გადმოვიდა. დატბორილია ბუხაიძის ქუჩა და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია.

უხვმა ნალექმა და ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა სამეგრელოშიც. როგორც აიპრესი წერს, ფოთის მე-4 საჯარო სკოლის ეზოში ძლიერმა ქარმა ნაძვის ხე წააქცია. შემთხვევას საბედნიეროდ მსხვერპლი არ მოჰყოლია. ხის წაქცევა გაკვეთილის მიმდინარეობისას მოხდა და ეზოში არავინ იმყოფებოდა.

ქარი დაახლოებით დღის მეორე ნახევარში გაძლიერდა, რის შედეგადაც ეზოში დიდი ნაძვის ხე წაიქცა. დავრეკეთ ცხელ ხაზზე და შემთხვევის ადგილზე შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები მოვიდნენ. რაც მთავარია, ხის წაქცევის შედეგად არავინ დაშავებულა, მოსწავლეები გაკვეთილზე იმყოფებოდნენ“, – განაცხადა სკოლის დირექტორმა გივი ხომერიკმა. ასევე ფოთში 6 ბალამდე შტორმი ფიქსირდება. სინოპტიკოსების განცხადებით, შესაძლოა 7 ბალამდე გაიზარდოს.

რაც შეეხება მაღალმთიან აჭარასა და აჭარას, ძლიერმა ქარმა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლებში საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა, ასევე სოფელ უჩხოში მეწყრული პროცესი განვითარდა როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი აიპრესთან აცხადებს, მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა მეწყერი სოფელთან დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე ჩამოვიდა, რის შედეგადაც ტრანსპორტი ამ დრომდე ვერ გადაადგილდება სოფელ უჩხოში, გუდასახოსა და კუტცხალში.

შუახევის მუნიციპალიტეტში წყაროთაში, ლევან მჟავანაძის სახლის ზემოთ გააქტიურდა მეწყერი, საფრთხე ემუქრება ოჯახს. დარეგისტრირებულია 25.000-ლარიან პროგრამაში. სოფლის წარმომადგენელმა დაათვალიერა, ოჯახი გადავიდა მეზობლად. ახალდაბაში თამაზ ზოიძის საცხოვრებელ სახლთან გასკდა დამცავი კედელი, საფრთხე დაემუქრა ოჯახს, გეოლოგები შეისწავლიან ამ დღეებში მდგომარეობას.

უამინდობის გამო ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაოში ტრანსპორტი ვერ გადაადგილდება, ასევე 500-ზე მეტ აბონენტს ელექტროენერგია არ მიეწოდება.

ბათუმში საშტორმო მდგომარეობაა, უხვი ნალექის შედეგად ბათუმის ქუჩები დაიტბორა. სინოპტიკოსების თქმით, ცუდი ამინდი კიდევ 2 დღე გაგრძელდება. ასევე ბათუმში 3.000-მდე აბონენტს სასმელი წყალი არ მიეწოდება, ჯერჯერობით ვერ ხერხდება პრობლემის აღმოფხვრა.

წვიმამ პრობლემები შექმნა გურიაშიც. სოფელ ცხემლისხიდში მდინარის ადიდების გამო მოსახლეობას საფრთხე ემუქრება. მობილიზებულია მუნიციპალური ტექნიკა. საგანგებო რეჟიმში მუშაობენ სამაშველო სამსახურები.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სტიქიის ზონებში კოორდინირებულად მუშაობენ.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის სტიქიის ზონებში ინტენსიურად მიმდინარეობს გზის გაწმენდითი სამუშაოები, რათა ყველა მიმართულებით საავტომობილო მიმოსვლა უმოკლეს ვადაში აღდგეს.

სამინისტროს ცნობით, იმერეთის, გურიის, აჭარისა და სამეგრელოს რეგიონებში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს შესაბამისი სამსახურები უწყვეტ რეჟიმში აგრძელებენ. ადგილზე იმყოფებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და უშუალოდ უწევენ სამუშაოს კოორდინირებას. ადგილზე მობილიზებულია სახანძრო-სამაშველო ჯგუფები.



მუნიციპალიტეტებში შექმნილია სტიქიასთან ბრძოლის საგანგებო შტაბები და დაწყებულია სალიკვიდაციო სამუშაოები. ასევე, მობილიზებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, უხვი ნალექის გამო ადიდებულმა მდინარეებმა პრობლემები შექმნეს რამდენიმე მუნიციპალიტეტში, მათ შორის ქუთაისსა და ოზურგეთში. ასევე, განვითარდა მეწყრული პროცესები გურიისა და აჭარის რამდენიმე სოფელში. ყველა დაზარალებულ მონაკვეთში მობილიზებული არიან სამაშველო ბრიგადები და მობილური ჯგუფები.

ამ ეტაპზე იმერეთსა და სამეგრელოს რეგიონში ელექტროენერგია რამდენიმე ათას აბონენტს არ მიეწოდება, ადგილზე მუშაობენ „ენერგო პრო-ჯორჯიას“ წარმომადგენლები, პრობლემურ კერებზე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რათა მოსახლეობას ელექტროენერგია უმოკლეს ვადაში აღუდგეს.

ძლიერმა წვიმამ პრობლემები აჭარაშიც შექმნა, სტიქიის ადგილას იმყოფება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და შექმნილ ვითარებას ადგილზე ეცნობა.

ინტენსიური თოვის და ქარბუქის გამო, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ერთ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ძლიერი თოვის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ასევე, ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის და ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზების მონაკვეთებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მეხანძრე-მაშველები მუშაობას საგანგებო რეჟიმში განაგრძობენ. გურიასა და იმერეთის რეგიონში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს დილიდან ახორციელებენ. ადგილზე მობილიზებულია სახანძრო-სამაშველო ჯგუფები.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უამინდობა საქართველოში 17 ოქტომბრამდე შენარჩუნდება. დასავლეთ საქართველოს უმეტეს და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია წვიმა, მაღალმთიან ზონაში თოვლი და ქარბუქი. 18 ოქტომბრიდან ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე გამოიდარებს, დღის ტემპერატურა მოიმატებს.

## თემურ ჭყონია: „ბანკებისთვის არაპროფილური აქტივების შეზღუდვა უკვე დაგვიანებულია“

ბიზნესმენ თემურ ჭყონიას განცხადებით, დღეს ბაზარზე არიან ბანკები, რომლებიც ყველაფერს ფლობენ. ამის შესახებ ჭყონიამ „საქმის კურსს“ განუცხადა.



მისი თქმით, არაპროფილური აქტივები ეროვნულმა ბანკმა აკრძალა, თუმცა, ეს კანონი გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო მიღებული, დაახლოებით 25 წლის წინ, როდესაც საქართველოში საბაზრო ეკონომიკა ყალიბდებოდა.

– დიდი ხელფასების გამო იმდენად დიდი შესაძლებლობები გაუჩნდათ აქციონერებს... მათ შეუძლიათ არაპროფილური ბიზნესი აწარმოონ და მეტი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ ფინანსებთან. კანონი აუცილებელია, მაგრამ ჩემი აზრით, უკვე გვიანაა. ეს კანონი უნდა მიგვეღო 25 წლის წინ, როდესაც საქართველოში საბაზრო ეკონომიკა ყალიბდებოდა. როდესაც ხდებოდა ბიზნესების გადანაწილება. ახლა უკვე არის ბანკები, რომლებიც ფლობენ ყველაფერს, – აცხადებს ჭყონია.

კითხვაზე, არის თუ არა წინააღმდეგი ის არაპროფილური აქტივების ფლობის, ჭყონია პასუხობს:

– წინააღმდეგი არ ვარ, მთავარია, პარიტეტი იყოს დაცული... არის ასეთი გამოთქმა: როდესაც დიდი ფული გაქვს, თამამდები და როდესაც ძალიან დიდი ფული გაქვს, კონტროლს კარგავ. არის უბრალოდ ასეთი გამოთქმა, – აცხადებს თემურ ჭყონია.

## ქუთაისიდან ათენის მიმართულებით ბილეთების ფასი 53.99 ლარიდან იწყება




ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანმა დაბალბიუჯეტიანმა ავიაკომპანია „ვიზეარმა“ ახალი მიმართულების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ავიაკომპანია ფრენებს ქუთაისიდან ათენის მიმართულებით კვირაში ორჯერ, ხუთშაბათს და კვირას განახორციელებს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ათენი შესანიშნავი ადგილია, როგორც გრძელვადიანი დასვენებისთვის, ასევე კვირის ბოლოს ხანმოკლე განტვირთვისთვის. ახალი მიმართულებით ფრენები 2018 წლის 17 მაისიდან განხორციელდება, მთელი წლის განმავლობაში. ბილეთების შეძენა 53.99 ლარად უკვე შესაძლებელია ვებგვერდზე: wizzair.com

– ვიზეარი, როგორც მომხმარებლის ინტერესებზე მორგებული კომპანია, მუდმივად ზრდის თავის ავიამიმართულებების ქსელს. 2018 წლის გაზაფხულიდან, ავიაკომპანია ახალ თვითმფრინავს ამატებს და ქუთაისიდან პრაღის, პარიზის, რომის და ბარსელონას მიმართულებით განახორციელებს ფრენებს. ვიზეარის დაბალბიუჯეტიანი ტარიფით, მოხერხებული დაჯავშნის სისტემითა და ბორტზე ხარისხიანი მომსახურებით, ქუთაისის აეროპორტის გავლით, ბოლო 12 თვის განმავლობაში 30.033.000-ზე მეტმა მგზავრმა ისარგებლა. ამით აეროპორტის ოპერირების საოპერაციო, სატრანსპორტო, სასტუმრო და ტურიზმის ინდუსტრიაში 200-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.

## ერთი წლის განმავლობაში საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა 2.200 კაცით შემცირდა

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა 3.718.200 კაცს შეადგენს.

ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. 2016 წლის დასაწყისისთვის მოსახლეობის რიცხოვნობა 3.720.400 კაცი იყო, შესაბამისად, 1 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა ქვეყანაში 2.200 ადამიანით არის შემცირებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მეტი – 5.443.400 კაცი 1989 წელს იყო.




„საქსტატის“ ცნობით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2.128.600 კაცი საქალაქო, ხოლო 1.589.600 ადამიანი სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს.

2016-2017 წლებში სასოფლო და საქალაქო დასახლებაში მცხოვრებთა რიცხვს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ საქალაქო დასახლებაში მცხოვრებთა რაოდენობა თითქმის უცვლელია. კერძოდ, 2016 წლის დასაწყისში ეს რიცხვი – 2.128.500-ია, შესაბამისად მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 100 კაცით არის გაზრდილი. სასოფლო დასახლებაში კი, პირიქით, შემცირებულია. კერძოდ, თუ 2017 წლის დასაწყისისთვის 1.589.600 კაცი იყო, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში 1.591.900 კაცი იყო.

ამასთან, „საქსტატის“ ცნობით, 2017 წლის დასაწყისისთვის, მოსახლეობიდან 1.781.500 ქალი, ხოლო 1.936.700 მამაკაცია. რაც შეეხება ასაკობრივ დაყოფას, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქვეყანაში 15 წელს ქვემოთ 724.100 ადამიანია; 15-64 წლის მოსახლეთა რიცხვი – 2.456.700-ია, ხოლო 65 წელს ზემოთ 537.400 კაცია.

## აფეთქება თბილისში გაზგასამართ სადგურზე – დაშავებულია 3 ადამიანი



თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე აფეთქება მოხდა.

აღნიშნულ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნულ სააგენტოში ადასტურებენ. როგორც „ნიუპოსტს" სააგენტოში განუცხადეს, დაშავებულია 3 ადამიანი, ისინი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ადგილზე 5 სახანძრო და სამაშველო ჯგუფი მუშაობდა.

## 2 გარდაცვლილი ქალი და 7 დაშავებული – უბედური შემთხვევა სართიჭალასთან



სოფელ სართიჭალასთან ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 2 ქალი გარდაიცვალა და 7 პირი დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილები 30 და 50 წლის ქალბატონები არიან.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ყაზბეგში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს



14 ოქტომბერს საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი" ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების ქვეყანაში კანონდარღვევით შემოტანის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონა 313.97 გრამი) და ვერცხლის (საერთო წონა 2,347.4 გრამი) ნაკეთობები აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 24 828.25 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა საერთო ჯამში 24 828.25 ლარის ოდენობით შეეფარდათ.

## ზაზა ხატიაშვილი: „ირმა ჭკადუას მიმართ ზეწოლა განხორციელდა"



ზაზა ხატიაშვილი ადვოკატ ირმა ჭკადუას მიმართ განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. „ინტერპრესნიუსი" აღნიშნულ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– მედიასაშუალებებით გავრცელდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, დეკანოზ მამალაძის ბრალდების საქმის ერთ-ერთი მოწმის – სოსო ოხანაშვილის ჩვენების ფრაგმენტი, სადაც ის ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ავრცელებს დაუზუსტებელ და ჩემი შეფასებით, აშკარად ცილისმწამებლურ ინფორმაციას ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის ირმა ჭკადუას სავარაუდო მონაწილეობაზე საპატრიარქოს მხრიდან მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში. მე, როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, მიულებლად მიმაჩნია ადვოკატთა მიმართ დაუსაბუთებელი და ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება, რომელიც მიმართულია ადვოკატის დისკრედიტაციისაკენ და მიზნად ისახავს თავისუფალი პროფესიის – ადვოკატის ნდობის შელახვას საზოგადოებაში. ამასთან, ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-16 მუხლის თანახმად, ადვოკატების მიერ თავიანთი პროფესიული ფუნქციების განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი საქმიანობა დაბრკოლების, ღირსების შელახვის და არასათანადო ჩარევის გარეშე. ასევე, დაუშვებელია ადვოკატის შევიწროება, მასზე ზეწოლა, მორალური თუ მატერიალური ზიანის მიყენება, – ნათქვამია განცხადებაში.

## ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ოთარ აბესაძის პროცესი გადაიდო



თბილისის საქალაქო სასამართლოში მერიის მაღალჩინოსნის, ოთარ აბესაძის პროცესი გადაიდო. როგორც აბესაძის ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განაცხადა, პროცესის გადადების მიზეზი მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა. ირმა ჭკადუას განცხადებით, ოთარ აბესაძესთან ფსიქოლოგები მუშაობენ.

– ოთარ აბესაძის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დღევანდელი სხდომა არ გაიმართება. მასთან მუშაობენ ფსიქოლოგები. პროცესი გადაიდო 1-ელ ნოემბრამდე. იმედს ვიტოვებთ, რომ მანამდე ექსპერტიზის ახალი დასკვნა იქნება მზად და შემდეგ სასამართლო იმსჯელებს მისი აღკვეთის ღონისძიების გადადებაზე, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

ოთარ აბესაძე ქრთამის აღების ბრალდებით არის დაკავებული.

## „საქართველოს ბანკის" ექსპრეს ფილიალზე თავდასხმაში ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



სასამართლომ ყაჩაღობისთვის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-ტარებისთვის ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარებისთვის ბრალდებული ი.ბ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით.

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 3 იანვარს, დაახლოებით 17:25 საათზე, ი.ბ. ქ.თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე სს „საქართველოს ბანკის" ექსპრეს ფილიალში „მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხა ბანკის თანამშრომლებს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით დაეუფლა სს „საქართველოს ბანკის" კუთვნილ თანხას 25 424, 97 ლარის ოდენობით.

სამართალდამცველებმა ი.ბ. 2017 წლის 18 იანვარს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით), 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და ტარება) წარედგინა და აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ბ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## პოლიციამ მარტვილში უკანონო იარაღი ამოიღო




შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული მ.ფ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „აკმ"-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 235 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

## 2016 წელს რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი შემცირდა



2015 წელთან შედარებით, 2016 წელს რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, განქორწინების რაოდენობამ კი მოიმატა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2015 წელს სულ 29.157 რეგისტრირებული ქორწინება დაფიქსირდა, 2016 წელს კი – 25.101.

უფრო კონკრეტულად, 2015 წელს საქალაქო დასახლებაში 17.127 წყვილმა, ხოლო სასოფლო დასახლებაში 12.030 გააფორმა ქორწინება. 2016 წელს კი საქალაქო დასახლებაში, რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა 14.961 იყო, სასოფლო დასახლებაში კი 10.140.

რაც შეეხება დედაქალაქს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს თბილისში 8.249 წყვილმა დაარეგისტრირა ქორწინება. 2016 წელს კი, რეგიტრირებულ ქორწინებათა რაოდენობამ 7.304 შეადგინა.

რეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით ასე გამოიყურება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 2015 წელი 3.002, 2016 წელი 2 631. გურიის რეგიონი - 2015 წელი 773, 2016 წელი 752. იმერეთის რეგიონი - 2015 წელი 4 444, 2016 წელი 3 832. კახეთის რეგიონი - 2015 წელი 2 420, 2016 წელი 1 936. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - 2015 წელი, 555, 2016 წელს 567. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი - 2015 წელს 232, 2016 წელს 203. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი - 2015 წელს 2.598, 2016 წელს 2 241. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 2015 წელს 1.232, 2016 წელს 1 071. ქვემო ქართლის რეგიონი - 2015 წელს 3.787, 2016 წელს 2.867. შიდა ქართლის რეგიონი - 2015 წელს 1.865, 2016 წელს 1.697. მონაცემები არ შეიცავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ კუთხით დაფიქსირებულ სურათს.

რაც შეეხება განქორწინებას, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო 26 წლის განმავლობაში 2016 წელს განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ოფიციალური მონაცემებით, 2016 წელს 9.539 წყვილი განქორწინდა, აქედან 6.565 საქალაქო დასახლებაში 6.565 (68.8%), ხოლო 2 974 (31,2%) სასოფლო დასახლებაში. განქორწინებათა მონაცემები წლების მიხედვით კი, ასე გამოიყურება: 1990 წელი – 7.796, 1995 წელი – 2.685, 2000 წელი – 1.854, 2005 წელი – 1.928, 2006 წელი – 2.060, 2007 წელი – 2.325, 2008 წელი – 3.189, 2009 წელი – 4.030. 2010 წელი – 4.726, 2011 წელი – 5.850, 2012 წელი – 7.136, 2013 წელი – 8.089, 2014 წელი – 9.119, 2015 წელი – 9.112 და 2016 წელი 9.539.

## სერგეი ლავროვი: „რუსეთი სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის დაცვას ყველანაირად დაუჭერს მხარს"



– რუსეთი პატივს სცემს სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტს და დაეხმარება მას ამის დაცვაში, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

– სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის აღიარებული. რუსმა მშვიდობისმყოფელებმა, რუსეთის არმიამ არ დაუშვა, რომ საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ძალის გამოყენებით გადაეჭრა „ტერიტორიული პრობლემა", როგორც ის მას უწოდებდა მიუხედავად ეუთო-ს გადაწყვეტილებებისა, მიუხედავად იმისა, რომ იქ რუსი და ოსი მშვიდობისმყოფელები იმყოფებოდნენ და მათ შორის ქართველი მშვიდობისმყოფელებიც, რომლებიც აგრესიული ქმედების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოიყვანეს, – აღნიშნა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, „რუსეთი ყველანაირად დაუჭერს მხარს სამხრეთ ოსეთს მისი სუვერენიტეტის დაცვაში".

## რუსეთი აფხაზეთში წვრთნებს ატარებს



რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეები ოკუპირებულ აფხაზეთში წვრთნებს ატარებენ. ამის შესახებ „რია ნოვოსტის" სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვადიმ ასტაფიევმა განუცხადა.

ტაქტიკური სწავლება ცაბალის პოლიგონზე იმართება. წვრთნების ფარგლებში სამხედროები პირობითი მოწინააღმდეგის ავიაციასა და ჯავშანტექნიკას გაანადგურებენ.

– საბრძოლო სროლის ეტაპის ფარგლებში მოტომსროლელები სატანკო და საარტილერიო დანაყოფებთან ერთად დაახლოებით ათას სამიზნეს გაანადგურებენ. სამიზნეები პირობითი მოწინააღმდეგის ავიაციის, ჯავშანტექნიკისა და ცოცხალი ძალის იმიტაციას მოახდენენ, - განაცხადა ასტაფიევმა.

სწავლებებში 500-მდე სამხედრო მოსამსახურე და 100 ერთეული სამხედრო ტექნიკა, მათ შორის თანამედროვე ჯავშანტრანსპორტიორები БТР-82АМ, „დოზორი"-ს ტიპის დაჯავშნული სადაზვერვო მანქანები და „გრად"-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები მონაწილეობს.

# რექს ტილერსონი: „ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებები გრძელდება“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა სი-ენ-ენ-ს ინტერვიუ მისცა.

საუბრის ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეა იყო.

– კატეგორიულად არ ვეთანხმები იმას, რომ პრეზიდენტმა დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე ხელი აიღო, – თქვა ტილერსონმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მოლაპარაკებები გრძელდება. ტრამპმა მას ამასთან დაკავშირებით კონკრეტული მითითებები მისცა.

– მოლაპარაკებები არ შემწყდარა და არც შეწყდება, – ამბობს ტილერსონი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონს ჩრდილოეთ კორეაზე ზემოქმედების რიგი ვარიანტი გააჩნია. ტილერსონმა თქვა, რომ კიმ ჩენ ინთან საუბარი ძალიან ძნელია. ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი აშკარად კონფრონტაციისთვისაა განწყობილი. მას გააჩნია კონკრეტული მიზანი. კიმ ჩენ ინს სურს, რომ აშშ-მ ფხენიანი ბირთვულ სახელმწიფოდ აღიაროს, პერსპექტივაში კი უნდა, რომ გუამის ბაზიდან, აგრეთვე სამხრეთ კორეიდან ამერიკამ ჯარი გაიყვანოს.

– ჩვენ ამას არ დავუშვებთ, – თქვა ტილერსონმა.

ჩრდილოეთ კორეა თავისი მოქმედებებით საფრთხეს უქმნის მთელი რეგიონის სტაბილიზაციას. მიუხედავად ამისა, ამერიკა მთავარ აქცენტს მაინც დიპლომატიაზე აკეთებს.

– ჩვენ გვესმის, რომ პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა უდიდეს უბედურებას გამოიწვევს. ამიტომაც ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ეს თავიდან ავიცილოთ, – თქვა ტილერსონმა.

სი-ენ-ენ-ის კორესპონდენტის შეკითხვას, რამდენად მართალია, რომ ტრამპსა და ტილერსონს შორის უთანხმოება არსებობს, სახელმწიფო მდივანმა უარყოფითი პასუხი გასცა:

– ჩვენ, ბუნებრივია, ვკამათობთ, ეს ნორმალურია, თუმცა გარკვეულ ზღვარს არ გადავდივართ, – თქვა ტილერსონმა.

სახელმწიფო მდივანმა ასევე უარყო ის, რომ გადადგომას აპირებს.

– მე და ტრამპი თანამოაზრენი ვართ, შესაბამისად, გადადგომისთვის საფუძველი არ არსებობს, – თქვა მან.

# ავსტრიის კანცლერი 31 წლის სებასტიან კურცი ხდება

ავსტრიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დასრულდა. თანახმად წინასწარი მონაცემებისა, ყველაზე მეტი ხმა ავსტრიის სახალხო პარტიამ მოიპოვა. მას მხარი 35,5%-მა დაუჭირა. მეორე ადგილზეა ულტრამემარჯვენე თავისუფლების პარტია – 19,1%. სოციალ-დემოკრატები 23%-ით მესამეზე არიან.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ავსტრიის ახალი კანცლერი სახალხო პარტიის ლიდერი და ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, 31 წლის სებასტიან კურცი გახდება. სავარაუდოდ ის ულტრამემარჯვენე თავისუფლების პარტიასთან კოალიციას შექმნის. როგორც ცნობილია, „ედინაია როსიამ“ თავისუფლების პარტია თავის პარტნიორად გამოაცხადა.

ექსპერტები სებასტიან კურცს ანტიამერიკელად მოიხსენიებენ. „დოიჩე ველეს“ ცნობით, ის პოპულისტი და კარიერისტია. კურცი რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების მოხსნის, აგრეთვე ავსტრიის მოსკოვთან დაახლოების მომხრეა.






# ერაყის არმიამ ქირჩუკის პროვინციის ნაწილზე კონტროლი დაამყარა

ერაყის არმიამ მასშტაბური სამხედრო ოპერაცია დაიწყო. მან ნავთობით მდიდარი ქირჩუკის პროვინციის ნაწილზე კონტროლი დაამყარა.

ქირჩუკის პროვინცია სადავო ტერიტორიაა. მასზე პრეტენზიას ქურთებიც აცხადებენ.

ერაყის პრემიერი აბადი აცხადებს, რომ მალე არმია მთელ ქირჩუკზე აბსოლუტურ კონტროლს დაამყარებს.

# საპრეზიდენტო არჩევნები ყირგიზეთში სოორენბეკ ჟეენბეკოვმა მოიგო

ყირგიზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. თანახმად წინასწარი მონაცემებისა, გამარჯვებული უკვე პირველ ტურში გამოვლინდა. ეს ყოფილი



პრემიერი სოორენბეკ ჟეენბეკოვია.

მას მხარი 50%-ზე მეტმა ამომრჩეველმა დაუჭირა.

თავის ტელე-ინტერვიუში ჟეენბეკოვმა განაცხადა, რომ არჩევნები თავისუფალი და დემოკრატიული იყო. მან მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ატაბაევს, რომელმაც რესპუბლიკაში სათანადო გარემო შექმნა.

– ყირგიზეთმა მთელს მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოა, – თქვა მან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მეიმ და მერკელმა ტელეფონით ისაუბრეს

ინგლისის პრემიერი ტერეზა მეი თავის გერმანელ კოლეგა ანგელა მერკელს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა ირან-აშშ-ის ურთიერთობები იყო.

მერკელისა და მეის პოზიციები ერთმანეთს ბევრ რამეში ემთხვევა. ორივე თვლის, რომ ირანი რეგიონში დესტრუქციულ როლს თამაშობს. ამავე დროს, ორივე მიიჩნევს, რომ ბირთვულ საკითხზე ირან-აშშ-ის შეთანხმების დარღვევა არამიზანშეწონილია.



– ამით რეგიონში ბალანსი დაირღვევა, – თვლიან გერმანიისა და ინგლისის ლიდერები.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დინამომ სტატუს კვო აღადგინა, საბურთალომ და კოლხეთმა რეკორდი დადეს





**დინამო (თბ)-ლოკომოტივი 3:1**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 თოთაძე (5), 1:1 რეხვიაშვილი (44), 2:1 მიქელთაძე (45), 3:1 ქოჩლაძე (90)

**დინამო:** ლიტოვჩენკო, გეგეჭკორი, სალუქვაძე, თოთაძე, კობოური, ქარდავა, ზარია (ქოჩლაძე 79), მიქელთაძე, კიტეიშვილი, შულაია (კუცია 88), ქავთარაძე (დავითაშვილი 90)

**ლოკომოტივი:** რ.თევდორაძე, ნ.ქავთარაძე, სიხარულიძე, დიასამიძე, გვალია (ქურდაძე 87), ღონღაძე (ჩიტეიშვილი 38), არველაძე (გოროზია 53), კობახიძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი

ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო არენაზე" გაიმართა. თბილისურ დერბიში ერთმანეთის წინააღმდეგ დინამო და ლოკომოტივი წარსდგნენ. შეხვედრამ მოლოდინი სრულად გაამართლა და გულშემატკივარმა საინტერესო სანახაობა იხილა.

მატჩი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-5 წუთზე გახსნეს ანგარიში. ლაშა თოთაძემ საჯარიმოდან არცთუ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი რევაზ თევდორაძის წინ ახტა და კარში აღმოჩნდა. ცხადია, ლოკოს მეკარეს შეცდომა დიდია.

გაშვებული გოლის შემდეგ სათამაშო ინიციატივა ლოკომ მოიპოვა და მეტოქეს აქტიურად შეუტია. გიორგი დევდარიანის გუნდმა სერგი ლიტოვჩენკოს კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. თავის მხრივ, დინამო მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდა.

24-ე წუთზე დინამოელებმა 2 ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. ჯერ ბექა მიქელთაძე შეიჭრა საჯარიმოში და მცველთან ორთაბრძოლაში წაიქცა, მომდევნო შეტევაში კი იმავე მიქელთაძემ ახლო მანძილიდან როგორც ააცილა სტუმართა ცარიელს კარს, ალბათ თვითონაც ვერ გვეტყვის.

საპასუხოდ ლოკომოტივის შეტევაა აღსანიშნავი, რომელიც საბოლოოდ გოლით დასრულდა, მაგრამ მსაჯებმა გააუქმეს.

ტაიმის ბოლოს ორივე გუნდი „აფეთქდა"; ჯერ იყო და გიორგი დიასამიძის კუთხურის შედეგად თავური დარტყმით გიორგი რეხვიაშვილმა გაიტანა, მაგრამ დინამოელებმა ტაიმის მოგება მაინც მოახერხეს. ბექა ქავთარაძემ შეტევის მარჯვენა ფლანგზე სისწრაფეში რეხვიაშვილს აჯობა და საჯარიმოში შეჭრილმა ბურთი ბექა მიქელთაძეს დაუგორა. პრაქტიკულად ცარიელი კარის წინ დარჩენილმა მიქელთაძემ ამჯერად მარტივად გაიტანა.

მე-2 ნახევარი პირველის დარად თოთაძის საჯარიმო დარტყმით განახლდა, ამჯერად თევდორაძემ მოიგერია ბურთი. თამაში დინამოელთა შეტევებით და აღსანიშნავი სახიფათო მომენტების გარეშე გაგრძელდა. 68-ე წუთზე ოთარ კიტეიშვილმა ითამაშა კარგად, მისი მოჭრილი დარტყმული მცირედით აცდა სტუმართა კარს. მე-80 წუთზე დიასამიძე ამწვავებდა თამაშს, საჯარიმოშიც შეიჭრა, მაგრამ ლიტოვჩენკოს ვერ გაუმკლავდა.

სამაგიეროდ, მატჩის კომპენსირებულ დროს მიქელთაძე გაისარჯა კარგად, ბურთი ლაშა ქოჩლაძეს გადააწოდა, რომელმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:1.

**საბურთალო-კოლხეთი 6:3**

**თბილისი.** პეტრო არენა

1:0, 2:0 ცნობილაძე (21, 27), 2:1 დერებჩინსკი (46), 3:1 კოხრეიძე (50), 4:1 შინდაგორიძე (57), 4:2 დერებჩინსკი (66), 5:2 შინდაგორიძე (72), 5:3 ნონდი (86), 6:3 ვოლკოვი (87)

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, შინდაგორიძე, ხარაიშვილი (ტერა, 62), ცნობილაძე, ლაკვეხელიანი (გრიგალაშვილი, 66), თარხნიშვილი, კოხრეიძე (მუეცი, 59), ვოლკოვი

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, კილასონია, გოგონაია, ნონდი, კაკულია, ბროვკო (მაჩარია, 51), დერებჩინსკი, ჯანელიძე, ბოლქვაძე, კილასონია, ბუხაიძე (ჟიშკარიანი, 62)

ეროვნული ლიგის რეკორდული ანგარიში დაფიქსირდა „დავით პეტრიაშვილი არენაზე". თბილისის საბურთალომ ფოთის კოლხეთს უმასპინძლა და 6:3 დაამარცხა მეტოქე.

საბურთალოელებმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს. 21-ე წუთზე ლუკა ლაკვეხელიანის მოწოდებული კუთხურის შემდეგ თავური დარტყმით დაჩი ცნობილაძემ გაიტანა. ამ გოლიდან ზუსტად 6 წუთში კი, ცნობილაძემ მეტოქის საჯარიმოში წარმოქმნილი არეულობით ისარგებლა და დუბლი შეასრულა.

მე-2 ტაიმი ფოთელთათვის კარგად დაიწყო. ალექსანდრ დერებჩინსკიმ ლაზარე კუპატაძის შეცდომით ისარგებლა და შორი მანძილიდან ფაქტიურად ცარიელ კარში გაიტანა. მასპინძლებმა ორბურთიანი უპირატესობა მალევე აღადგინეს. 50-ე წუთზე გიორგი კოხრეიძემ მცველების შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს გატანა არ გასჭირვებია.

მატჩი საბურთალოელთა შეტევებით გაგრძელდა და 57-ე წუთზე კოხრეიძის პასით ლაშა შინდაგორიძემ გაიტანა. კოლხეთმა ანგარიშის შემცირება კიდევ ერთხელ მოახერხა, 64-ე წუთზე თავური დარტყმით დერებჩინსკიმ კუპატაძის კარში მე-2 გოლი გაიტანა.

საბურთალომ მეტოქეს სიხარული არც ამჯერად აცადა და 71-ე წუთზე შინდაგორიძემ შორეული დარტყმით დუბლი გაიფორმა.

საბოლოო ანგარიში მატჩის მიწურულს დაფიქსირდა. 86-ე წუთზე ამოს ნონდიმ თბილისელებს მესამედ გაუტანა, 87-ზე კი, საბურთალოელთა მხრიდან საკუთარი გოლი დავით ვოლკოვმა გაიტანა და შეხვედრაში წერტილი დასვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 29 | 19 | 5 | 5 | 69-25 | 62 |
| 2.ტორპედო | 29 | 17 | 7 | 5 | 45-22 | 58 |
| 3.სამტრედია | 29 | 16 | 7 | 6 | 46-31 | 55 |
| 4.ლოკომოტივი | 29 | 15 | 3 | 11 | 54-38 | 48 |
| 5.საბურთალო | 29 | 14 | 4 | 11 | 50-36 | 46 |
| 6.ჩიხურა | 29 | 12 | 4 | 13 | 35-46 | 40 |
| 7.დილა | 29 | 9 | 7 | 13 | 34-41 | 34 |
| 8.დინამო (ბთ) | 29 | 10 | 2 | 17 | 25-45 | 32 |
| 9.კოლხეთი | 29 | 4 | 8 | 17 | 27-57 | 20 |
| 10.შუქურა | 29 | 2 | 7 | 20 | 28-72 | 13 |

# ბითაძემ ორმაგი დუბლი შეასრულა, დიქსონს 1 პასი დააკლდა



საქართველოს ნაკრების ფორვარდი თორნიკე შენგელია კი განაგრძობს შედეგიან თამაშს, მაგრამ ბასკონიას ქულების მოპოვება უჭირს. ბასკურმა გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ფუენლაბრადასთან წააგო – 75:80.

ქართველმა ფორვარდმა 23 წუთში 20 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა და ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო გახლდათ. თოკომ 9-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 9-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

18-გუნდიან ესპანურ ლიგაში შენგელიას ბასკონია მე-14 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი შინ, გიპუზკოა ბასკეტთან გამართავს.

სამაგიეროდ, ესპანეთის ჩემპიონატში იოლი გამარჯვება მოიპოვა გიორგი შერმადინის უნიკახამ. მალაგელებმა ბეტისს უმასპინძლეს და 28 ქულის სხვაობით – 99:71 სძლიეს.

იმ დროის გათვალისწინებით, რაც მოედანზე იყო, შერმადინი საკმაოდ შედეგიანად გაისარჯა. ჩვენებური თამაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე გატარებულ 9 წუთში 10 ქულა, 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიითვალა. საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 5-დან 3 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო.

მცირე ხნით თამაშის მიზეზი ის გახლდათ, რომ შერმადინმა ნაადრევად მიიღო პერსონალურები და მწვრთნელმა ის მოედნიდან მალე გაიყვანა.

უნიკახა მე-4 ადგილზეა და მორიგი მატჩი სტუმრად, მადრიდის რეალთან ელის.

18 წლის გოგა ბითაძე კვლავ საუკეთესოა სერბული მეგა ბიმაქსის შემადგენლობაში. ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში ბიმაქსელებმა ბელგრადში სლოვენიურ ოლიმპიას უმასპინძლეს და 77:86 დამარცხდნენ.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 29 წუთში ორმაგი დუბლი – 12 ქულა, 14 მოხსნა, 1 პასი და 3 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 14-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი და 2 საჯარიმო კი ააცილა.

4 ტურის შემდეგ მეგა ბიმაქსს 2 მოგება და 2 წაგება აქვს და ცხრილში მე-4 ადგილზეა. მომდევნო მატჩს ბითაძის გუნდი მონტენეგროში, პოდგორიცეს ბუდუჩნოსტთან გამართავს.

მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილიამ იტალიის სერია ა-ში მორიგი მატჩი გამართა და კვლავ უშედეგოდ. ჩემპიონატის რიგით მესამე მატჩში მარკოიშვილის გუნდი სტუმრად სარდინიულ დინამო სასარის შეხვდა და 10 ქულით – 67:77 დამარცხდა.

ქართველი უკანახაზელი მოედანზე ყველაზე მეტხანს – 34 წუთი იმყოფებოდა. მარკოიშვილმა 5-დან 2 ორქულიანი და 4-დან 1 სამქულიანი ჩააგდო და 7 ქულას 4 მოხსნა და 7 პასი წაამატა.

რეჯიო ემილია ჩემპიონატში პირველი გამარჯვების მოპოვებას კაპო დორლანდოსთან საშინაო მატჩში ეცდება.

მე-3 ტურში წააგო დუდა სანაძის პისტოიამ, რომელიც სტუმრად შეხვდა კრემონეს – 77:92. ეს გახლდათ პისტოიელთა პირველი მარცხი მიმდინარე სეზონში.

პირველად მოხდა, რომ სანაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა. ქართველმა მსროლელმა მოედანზე 25 წუთი დაატარა და 7 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. დუდამ 5-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

ამ წაგებით სანაძის გუნდმა ცხრილში მე-7 ადგილამდე ჩაინაცვლა და მომდევნო ტურში აველინოს შეხვდება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა მაიკლ დიქსონმა საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატში შედეგიანად ითამაშა, მისმა სტრასბურმა კი ლიმოჟთან გასვლითი მატჩი 74:80 წააგო.

დიქსონი სასტარტო ხუთეულში იყო და 34 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა, 9 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. მაიკლმა 4-დან 2 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

2 მოგებითა და 3 მარცხით სტრასბური საფრანგეთის ჩემპიონატში მე-13 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი შინ, ტულონთან გამართავს.

## შედეგები

**15 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ევერტონი ..... 1:1
საუთჰემპტონი-ნიუკასლი ..... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 8 | 7 | 1 | 0 | 29-4 | 22 |
| 2.მანჩესტერი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-2 | 20 |
| 3.ტოტენჰემი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-5 | 17 |
| 4.უოტფორდი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-13 | 15 |
| 5.ჩელსი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-8 | 13 |
| 6.არსენალი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 7.ბარნლი | 8 | 3 | 4 | 1 | 8-6 | 13 |
| 8.ლივერპული | 8 | 3 | 4 | 1 | 13-12 | 13 |
| 9.ნიუკასლი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-8 | 11 |
| 10.საუთჰემპტონი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-9 | 9 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-8 | 9 |
| 12.ჰადერსფილდი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-9 | 9 |
| 13.სუონსი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-8 | 8 |
| 14.ბრაიტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 16.ევერტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-13 | 8 |
| 17.სტოკი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 18.ლესტერი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-12 | 5 |
| 19.ბორნმუთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-12 | 4 |
| 20.კრ.პალასი | 8 | 1 | 0 | 7 | 2-18 | 3 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ნოტინგემი ..... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-დეპორტივო ..... 0:0
ხირონა-ვილიარეალი ..... 1:2
მალაგა-ლეგანესი ..... 0:2
ბეტისი-ვალენსია ..... 3:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 0 | 24-3 | 22 |
| 2.ვალენსია | 8 | 5 | 3 | 0 | 21-10 | 18 |
| 3.რეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| 4.ატლეტიკო | 8 | 4 | 4 | 0 | 13-5 | 16 |
| 5.სევილია | 8 | 5 | 1 | 2 | 9-4 | 16 |
| 6.ლეგანესი | 8 | 4 | 2 | 2 | 7-3 | 14 |
| 7.სოსიედადი | 8 | 4 | 1 | 3 | 19-17 | 13 |
| 8.ვილიარეალი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 9.ბეტისი | 8 | 4 | 1 | 3 | 17-17 | 13 |
| 10.ბილბაო | 8 | 3 | 2 | 3 | 10-9 | 11 |
| 11.ლევანტე | 8 | 2 | 4 | 2 | 8-10 | 10 |
| 12.ესპანიოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-11 | 9 |
| 13.სელტა | 7 | 2 | 2 | 3 | 13-11 | 8 |
| 14.ხეტაფე | 8 | 2 | 2 | 4 | 10-9 | 8 |
| 15.დეპორტივო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-16 | 8 |
| 16.ეიბარი | 8 | 2 | 1 | 5 | 3-17 | 7 |
| 17.ხირონა | 8 | 1 | 3 | 4 | 7-13 | 6 |
| 18.ლას პალმასი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-13 | 6 |
| 19.ალავესი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-12 | 3 |
| 20.მალაგა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-18 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რეუსი-რაიო ..... 0:2
ალბასეტე-სევილია ბ ..... 2:1
ალმერია-ვალიდოლიდი ..... 1:1
კორდობა-ხიმნასტიკი ..... 1:5
სარაგოსა-ოსასუნა ..... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ვოლფსბურგი ..... 2:2
ვერდერი-გლადბახი ..... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 8 | 6 | 1 | 1 | 23-5 | 19 |
| 2.ბაიერნი | 8 | 5 | 2 | 1 | 21-7 | 17 |
| 3.ლაიპციგი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-10 | 16 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 3 | 1 | 15-10 | 15 |
| 5.გლადბახი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-12 | 14 |
| 6.შალკე | 8 | 4 | 1 | 3 | 10-9 | 13 |
| 7.აინტრახტი | 8 | 4 | 1 | 3 | 8-7 | 13 |
| 8.აუგსბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-8 | 12 |
| 9.ჰანოვერი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-6 | 12 |
| 10.მაინცი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-13 | 10 |
| 11.შტუტგარტი | 8 | 3 | 1 | 4 | 6-10 | 10 |
| 12.ლევერკუზენი | 8 | 2 | 3 | 3 | 15-13 | 9 |
| 13.ჰერტა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 14.ვოლფსბურგი | 8 | 1 | 5 | 2 | 8-11 | 8 |
| 15.ჰამბურგი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-14 | 7 |
| 16.ფრაიბურგი | 8 | 1 | 4 | 3 | 5-16 | 7 |
| 17.ვერდერი | 8 | 0 | 4 | 4 | 3-9 | 4 |
| 18.კიოლნი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-17 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-აუე ..... 2:1
ჰაიდენჰაიმი-კილი ..... 3:5
რეგენსბურგი-უნიონი ..... 0:2

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-უდინეზე ..... 2:1
ბოლონია-სპალი ..... 2:1
კალიარი-ჯენოა ..... 2:3
კროტონე-ტორინო ..... 2:2
სამპდორია-ატალანტა ..... 3:1
სასუოლო-კიევო ..... 0:0
ინტერი-მილანი ..... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 8 | 8 | 0 | 0 | 26-5 | 24 |
| 2.ინტერი | 8 | 7 | 1 | 0 | 17-5 | 22 |
| 3.იუვენტუსი | 8 | 6 | 1 | 1 | 21-7 | 19 |
| 4.ლაციო | 8 | 6 | 1 | 1 | 21-10 | 19 |
| 5.რომა | 7 | 5 | 0 | 2 | 14-5 | 15 |
| 6.სამპდორია | 7 | 4 | 2 | 1 | 11-9 | 14 |
| 7.ბოლონია | 8 | 4 | 2 | 2 | 8-8 | 14 |
| 8.ტორინო | 8 | 3 | 4 | 1 | 14-13 | 13 |
| 9.კიევო | 8 | 3 | 3 | 2 | 9-9 | 12 |
| 10.მილანი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-13 | 12 |
| 11.ფიორენტინა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-11 | 10 |
| 12.ატალანტა | 8 | 2 | 3 | 3 | 13-13 | 9 |
| 13.უდინეზე | 8 | 2 | 0 | 6 | 13-15 | 6 |
| 14.კალიარი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-14 | 6 |
| 15.კროტონე | 8 | 1 | 3 | 4 | 6-14 | 6 |
| 16.ჯენოა | 8 | 1 | 2 | 5 | 8-13 | 5 |
| 17.სპალი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-14 | 5 |
| 18.სასუოლო | 8 | 1 | 2 | 5 | 4-15 | 5 |
| 19.ვერონა | 7 | 0 | 3 | 4 | 3-16 | 3 |
| 20.ბენევენტო | 7 | 0 | 0 | 7 | 2-18 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-სალერნიტანა ..... 2:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ნანტი ..... 1:1
მონპელიე-ნიცა ..... 2:0
სტრასბური-მარსელი ..... 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 9 | 8 | 1 | 0 | 29-6 | 25 |
| 2.მონაკო | 9 | 6 | 1 | 2 | 24-12 | 19 |
| 3.სტ.ეტიენი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-9 | 17 |
| 4.მარსელი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-15 | 17 |
| 5.ნანტი | 9 | 5 | 2 | 2 | 7-6 | 17 |
| 6.ლიონი | 9 | 4 | 4 | 1 | 20-15 | 16 |
| 7.ბორდო | 9 | 4 | 4 | 1 | 16-14 | 16 |
| 8.კაენი | 9 | 5 | 0 | 4 | 7-6 | 15 |
| 9.გენგამი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-12 | 13 |
| 10.ანჟე | 9 | 2 | 6 | 1 | 14-11 | 12 |
| 11.მონპელიე | 9 | 3 | 3 | 3 | 7-6 | 12 |
| 12.ტრუა | 9 | 3 | 3 | 3 | 9-9 | 12 |
| 13.ტულუზა | 9 | 3 | 2 | 4 | 10-15 | 11 |
| 14.ნიცა | 9 | 3 | 1 | 5 | 12-14 | 10 |
| 15.რენი | 9 | 1 | 3 | 5 | 11-15 | 6 |
| 16.ლილი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-13 | 6 |
| 17.ამიენი | 8 | 2 | 0 | 6 | 4-11 | 6 |
| 18.სტრასბური | 9 | 1 | 3 | 5 | 9-17 | 6 |
| 19.დიჟონი | 9 | 1 | 3 | 5 | 11-19 | 6 |
| 20.მეცი | 9 | 1 | 0 | 8 | 4-17 | 3 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ერაკლესი-ვიტესი ..... 1:1
ვენლო-პსვ ..... 2:5
ტილბურგი-ტვენტე ..... 3:1
გრონინგენი-ალკმაარი ..... 1:1
დენ ჰააგი-ექსელსიორი ..... 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ლოკომოტივი ..... 1:0
როსტოვი-რუბინი ..... 0:1
ზენიტი-არსენალი ..... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ლუცერნი ..... 1:1
სიონი-სტ.გალენი ..... 1:2
თუნი-ციურიხი ..... 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-აუსტრია ..... 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სტანდარდი-კორტრაიკი ..... 3:1
ოსტენდე-ბრიუგე ..... 2:3
ანტვერპენი-ვარეგემი ..... 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-ლამია ..... 4:0
აპოლონი-კერკირა ..... 0:0
პანეთოლიკოსი-ლევადიაკოსი ..... 0:1
ქსანთი-აეკი ..... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფასა-სივასი ..... 2:3
ტრაბზონი-აკხისარი ..... 1:6
ფენერბახჩე-მალათია ..... 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სპარტა-პლზენი ..... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-გურნიკი ..... 3:2
ლეგია-ლეხია ..... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-კარპატი ..... 0:0
ოლიმპიკი-ოლექსანდრია ..... 1:0
ჩერნომორეცი-დინამო ..... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ჰობრო ..... 2:2
ოლბორგი-ჰელსინბორგი ..... 1:0
ბრონდბიუ-სილკებორგი ..... 4:1
ოდენსე-კოპენჰაგენი ..... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-იონჩოპინგი ..... 2:0
სირიუსი-დიურგარდენი ..... 2:0
ელფსბორგი-სუნდსვალდი ..... 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-ალესუნდი ..... 5:1
კრისტიანსუნდი-ვიკინგი ..... 0:2
ლილესტრიომი-სონგდალი ..... 1:0
ჰაუგესუნდი-სანდერფიორდი ..... 2:0
მიოლდე-ბრანი ..... 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-კუუპიო ..... 1:0
კემი-სეინეოკი ..... 3:3
როვანიემი-ვაასა ..... 3:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## რუსმა მოდელმა ბოიფრენდის მანქანა აუზში ჩააგდო



ამერიკელი ბანკირის მიერ მიტოვებულმა რუსმა მოდელმა მისი ავტომობილი მერსედეს ს400 აუზში ჩააგდო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გაი ჯენტილემ და კრისტინა კუჩმამ რესტორანში სადილობის დროს იჩხუბეს. მიზეზი გახდა ბოიფრენდის უარი გოგონასთვის 50 ათასი დოლარი მიეცა საკუთარი ბიზნესის დასაწყებად. განაწყენებულმა მოდელმა ბოიფრენდს სახეში ჩაი შეასხა და გავიდა. მალე ბანკირმა შეტყობინება მიიღო, რომ მას დაწესებულების უკანა ეზოში „სიურპრიზი" ელოდა. ეზოში გასულმა ბანკირმა აღმოაჩინა, რომ მისი ავტომობილი წყლით სავსე აუზში ეგდო.

ჯენტილეს თქმით, თავდაპირველად ის შეშინდა, რადგანაც იფიქრა, რომ შესაძლოა გოგონა მანქანაში ყოფილიყო და ამ დროს მას ავტომობილზე არც კი უფიქრია. თუმცა შემდეგ მიხვდა, რომ ის იქ არ იყო, გაბრაზდა და პოლიციაში განცხადება დაწერა.

– მე ის მართლაც მიყვარდა და მასზე დაქორწინებას ვაპირებდი, მაგრამ მან ძალიან შორს შეტოპა, – განაცხადა ბანკირმა.

წყლიდან ავტომობილის ამოღებას დაახლოებით ოთხი საათი დასჭირდა.

## ბრიტანელმა ქალმა საყვარლის ცოლ-შვილს მისი გენიტალიების ფოტო გაუგზავნა



ბრიტანეთის ქალაქ ფელტემის მცხოვრებმა ქალბატონმა ლაურა არნოლდმა თავისი ყოფილი საყვარლის ინტიმური ფოტოსურათები მის ცოლსა და შვილებს გაუგზავნა, რის გამოც სასამართლოს წინაშე მოუხდა წარდგომა.

გათხოვილი ქალბატონი, ოთხი შვილის დედა, ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე ფარულად ხვდებოდა მამაკაცს, რომელიც ასევე ქორწინებაში იმყოფებოდა. ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, ქალი შეეცადა ყოფილ საყვარელზე შური ეძია და ფეისბუქსა და ტვიტერში გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებზე ჩანს, რომ ის მამაკაცის გენიტალიებს ეფერება. სურათების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს ქალმა ყოფილ საყვარელს „დუმილის" სანაცვლოდ კომპენსაციის სახით ექვსი ათასი ფუნტი სტერლინგი მოსთხოვა.

არნოლდმა ასევე განაცხადა, რომ ფოტო და მასთან მიმოწერის ტექსტები მის ცოლსა და შვილებს გაუგზავნა.

მამაკაცის ოჯახმა გადაწყვიტა, გამოსასყიდი არ გადაეხადა და სასამართლოს მიმართა. სასამართლოს განხილვის შედეგად ბრიტანელ ქალბატონს დაზარალებულ მამაკაცთან ყოველგვარი ურთიერთობა აეკრძალა და 200 ფუნტით დაჯარიმდა.

საქმის განხილვის დროს მოსამართლემ აღნიშნა, რომ არნოლდი დაპატიმრებას იმის გამო გადაურჩა, რომ სურათზე გენიტალიები დაფარა.

## კარლ ლაგერფელდმა ანგელა მერკელი და ჰიტლერი ერთად გამოსახა



გერმანელმა მოდელმა და შანელის კრეატიულმა დირექტორმა კარლ ლაგერფელდმა ანგელა მერკელის პოლიტიკური კარიკატურა დახატა. ის გამოქვეყნდება გაზეთFrankfurter Allgemeine Zeitung-ის დამატებაში.

კარიკატურა ლაგერფელდის ანგელა მერკელის პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს, რომელმაც, მისი აზრით, ის შედეგი გამოიღო, რომ ახლახან ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ხმების 13 პროცენტი მემარჯვენე პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის" მიიღო. კუტურიე მიიჩნევს, რომ ეს იმის გამო მოხდა, რომ კანცლერის ინიციატივით ქვეყანაში მილიონზე მეტი მიგრანტი ჩავიდა.

ნახატზე ლაგერფელდმა გამოსახა ადოლფ ჰიტლერი, რომელიც ანგელა მერკელს ეუბნება: „დიდი მადლობა იმისთვის, რომ შენი უგუნურებით ჩემს მიმდევრებს პარლამენტში მოხვედრაში დაეხმარე". დაბნეული მერკელი კი ეკითხება: „რა გავაკეთე?"

## „პლეიბოის" ყოფილმა გოგონამ ოლივერ სტოუნი სექსუალურ ზეწოლაში დაადანაშაულა



„პლეიბოის" ყოფილმა გოგონამ კერი სტივენსმა ოლივერ სტოუნი მასზე განხორციელებულ სექსუალურ ზეწოლაში დაადანაშაულა.

მოდელმა, რომელმაც პოპულარობა 1997 წლის ივნისში ჟურნალ პლეიბოის „თვის გოგონას" რანგში მოიხვეჭა და ამავე დროს მის აქტივშია რამდენიმე მცირე როლები კინოსა და ტელევიზიაში, განაცხადა, რომ ერთ-ერთ წვეულებაზე რეჟისორმა მას ხელი მკერდზე სტაცა. ეს მოხდა წვეულებაზე, რომელიც პროდიუსერ ტედ ფილდის მიერ ოლივერ სტოუნის პატივსაცემად იყო ორგანიზებული.

მოდელმა გაიხსენა, რომ მან მკერდში ხელი სტაცა და უცნაური ხმა გამოსცა და იქვე დაამატა, რომ რეჟისორი იმ სკოლის მოსწავლესავით იქცეოდა, რომელიც ცდილობს ლიფში ჩაგიძვრეს.

## ჩერჩილის ნახევრად მოწეული სიგარა აუქციონზე გაიყიდა



დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის ბოლომდე მოუწეველი სიგარა აშშ-ში გამართულ აუქციონზე გაიყიდა.

ბოლომდე მოუწეველი სიგარის სიგრძე 10 სანტიმეტრს შეადგენს და ის ფლორიდელმა კოლექციონერმა, რომლის ვინაობა უცნობი დარჩა, 12 ათას დოლარად შეიძინა.

## ამერიკაში ბრენდ დონა კარანის ბოიკოტირებისკენ მოუწოდებენ



აშშ-ში წამოიწყეს კომპანია, რომლის მიზანი იმ ბრენდების ბოიკოტირებაა, რომელიც მოდელიერ დონა კარანის მიერაა დაფუძნებული. ეს ყოველივე კი იმ კომენტარების ფონზე ხდება, რომელიც მოდელიერმა გამოაქვეყნა ჰარვი ვეინშტეინის სკანდალთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბრენდები დიზაინერს აღარ ეკუთვნის, აშშ-ში გროვდება ხელმოწერები პეტიციაზე, რომელიც უნივერმაღ ნორდსტრომისგან მოითხოვს, უარი თქვას დონა კარანის მიერ დაფუძნებული ბრენდების ნაწარმის გაყიდვაზე. პეტიციამ უკვე 5.000 ათასამდე ხელმოწერა მოაგროვა. ამასთან მიმართვის ავტორმა ჯული მასტრინმა არ იცოდა, რომ კომპანიები დონა კარანის საკუთრებას აღარ წარმოადგენს. ამის მიუხედავად, მან განაცხადა, რომ უნივერმაღის ვებგვერდზე ნახა პარფიუმერული ნაწარმი დიზაინერის სახელით. მისი თქმით, ბრენდის სახელწოდება კვლავაც მოდელიერი-დამფუძნებლის სახელთან ასოცირდება.

ცნობილი სკანდალის კომენტირებისას, დონა კარანმა განაცხადა, რომ ქალები, განვითარებულ ქვეყნებში მათ მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულების პროვოცირებას თავადვე ახდენენ. მოგვიანებით კი განაცხადა, რომ მისი სიტყვები კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი.

## როუზ მაკგოუენმა ჰარვი ვეინშტეინი გაუპატიურებაში დაადანაშაულა



როუზ მაკგოუენმა მას შემდეგ, რაც ტვიტერში დაბრუნდა, ჰარვი ვეინშტეინი გაუპატიურებაში დაადანაშაულა.

ტვიტების სერიაში მსახიობმა კომპანია ამაზონის ხელმძღვანელ ჯეფ ბეზოსს მიმართა, შეახსენა, თუ რა უთხრა აღნიშნულის შესახებ, მაგრამ მისი ნათქვამის იგნორირება მოხდა.

– მე თქვენი სტუდიის ხელმძღვანელს ვუთხარი, რომ ჰ.ვ-მ გამაუპატიურა. მე კიდევ და კიდევ ვეუბნებოდი. ის კი მპასუხობდა, რომ დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს. მე კი ვეუბნებოდი, რომ მტკიცებულება თავად მე ვიყავი, – დაწერა როუზ მაკგოუენმა საკუთარ ტვიტერში.

მსახიობი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საზოგადოების ყურადღება ჰარვი ვეინშტეინის სექსუალურ ძალადობას მიაპყრო. ამჟამად მან ინტერნეტში აამოქმედა ხეშტეგი ROSARMY და ქალებს მოუწოდებს, მას მხარი დაუჭირონ მამაკაცების აღვირახსნილობასთან ბრძოლაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 17 ოქტომბერი



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა, განსაკუთრებით – ბიზნესმენებისთვის. გელით მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება, რაც დადებითად აისახება როგორც თქვენს პირად ცხოვრებაზე, ისე საქმიან ურთიერთობებზე. ვარსკვლავები გწყალობენ.**ტყუპები** – საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. აქცენტი მთავარზე გააკეთეთ და ენერგიას წვრილმანებზე ნუ დახარჯავთ. **კირჩხიბი** – დღე აღსავსეა ახალი იმედებით, შეხვედრებით, მოულოდნელი სასიამოვნო ნაცნობობით. ფინანსებს გაუფრთხილდით.**ლომი** – გაუთვალისწინებელი ხარჯები რეკომენდებული არ არის. თავს ყველაფერზე უარს ნუ ეტყვით, მაგრამ თქვენი ბიუჯეტიც გაითვალისწინეთ. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით. სატურნის მფარველობის მეოხებით თქვენი საქმეები მშვენივრად მიდის. **სასწორი** – ემოციურად მძლავრი და დაძაბული დღეა. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. დღის პირველ ნახევარში რეკომენდებულია დასვენება, მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოწესრიგება. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწევთ. კომერციულ საქმიანობაში აქტიურობას არ გირჩევთ. **მშვილდოსანი** – კარგი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, ბუნებაში სულის მოსათქმელად. შესაძლოა სასიამოვნო ახალი ამბავიც შეიტყოთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მელანქოლიური დღეა, თუმცა საამისო მიზეზი არ გაქვთ. **მერწყული** – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **თევზები** – გელით როგორც სასიხარულო, ისე უსიამოვნო მოულოდნელობები. იყავით მაქსიმალურად ტაქტიანი. წინდაუხედავი გამონათქვამები კონფლიქტს გამოიწვევს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. მე-19 საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. გეომეტრიული ფიგურა; 7. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 9. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 12. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 17. მდინარე ახალციხეში; 20. რადიოაქტივობის საზომი ერთეული.

**თარაზულად:** 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე, წერილობითი შინაარსი; 6. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. „დედინაცვლის ენად" წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 10. სამახსოვრო საჩუქარი; 11. საგანგებოდ, განსაკუთრებული წესით დამუშავებული ტყავი, იხმარებოდა ძველად საწერ მასალად; 13. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 16. დუქნის დახლიდარი; 18. კოვბოების შეჯიბრი; 19. მდინარე გურიაში; 21. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი კაპიტალის რაოდენობის მიხედვით; 22. ფოლადის კარკასი რკინაბეტონის კონსტრუქციაში; 23. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ბარაკუდა; 6. კრედიტორი; 9. კეფალი; 10. ემისია; 11. არაყი; 13. ეკალი; 15. ბერისო; 18. დაიმი; 21. პესიმიზმი; 22. ერითემა; 23. ნიუტონი.

**შვეულად:** 1. ზამბეზი; 2. მარლენ; 3. რეიტინგი; 4. რიტორიკა; 7. მისტაგოგი; 8. სარაფანი; 12. სკალპელი; 14. მენეჯერი; 16. სადბერი; 17. ზიგზაგი; 19. აზრი; 20. ათაი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ირონია; 2. ნო; 3. მე; 4. ლოო; 5. შტო; 6. ემილ; 7. ლეანდრო; 8. მაია; 9. დო; 10. აიაზმა; 11. კამიუ; 12. ორთი; 13. იდო; 14. კადრილი; 15. მარადია; 16. ზრო; 17. ენკე; 18. მკათათვე; 19. ირაო; 20. იდიია; 21. სათლი; 22. მარკ; 23. „რამაიანა"; 24. კროლი; 25. პი; 26. ოსტატი; 27. იიპე; 28. სოია; 29. კიპუ; 30. იორი; 31. კაა; 32. არსი; 33. პაპირუსი; 34. აპრიორი; 35. მუსკატი; 36. სი.

**სურათებზე:** ავრილ ლავინი; პატრიკ კლუივერტი.

# გია ყანჩელის ახალი ნაწარმოების მსოფლიო პრემიერა რუსთაველის თეატრში გაიმართება



17 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში გია ყანჩელის ნაწარმოების „დედა ენა" მსოფლიო პრემიერა გაიმართება.

კომპოზიტორმა ახალი ნაწარმოები მას შემდეგ დაწერა, რაც გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯთან არსებული ბავშვთა გუნდი მოისმინა. მაშინ მაესტრომ სცენიდან გამოაცხადა, რომ მათთვის აუცილებლად შექმნიდა ახალ ნაწარმოებს და რამდენიმე თვეში პრემიერა დაინიშნა.

– რაც უფრო ხმაურიანი ხდება გარემო, მით უფრო მიჩნდება სურვილი, მუსიკაში მივაღწიო ისეთ ჟღერადობას, რომელიც სიჩუმის ზღვარზეა. რაც უფრო რთულდება თანამედროვე მუსიკალური ენა, მით უფრო ვცდილობ მივაღწიო ისეთ სიმარტივეს, რომლის მიღმა მუსიკალური ანბანი იწყება. თუ ჩემი გამარტივებული მუსიკალური ენა და სიჩუმის ზღვარს მიღწეული მუსიკა მსმენელის გარკვეული ნაწილის მოწონებას დაიმსახურებს, ჩავთვლი, რომ ჩემ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ მუსიკალურ სამყაროში აუთვისებელი სივრცის მოპოვება უკვე არსებულის განსხვავებულად წარმოჩენაა. „დედა ენა", რომელიც გორის ბავშვთა გუნდს და ჩემ შვილიშვილებს მივუძღვენი, გახლავთ ზემოთ აღნიშნულის აღსრულების მცდელობა, – განუცხადა ჟურნალისტებს კომპოზიტორმა.

სპეციალურად ამ კონცერტისთვის თბილისში ჩამოვლენ ცნობილი მევიოლინეები პაველ ვერნიკოვი და სვეტლანა მაკაროვა. საღამოზე შესრულდება ლეგენდარული კომპოზიტორის ნაწარმოები „ექს კონტრარიო" ორი ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის. პროექტს მასპინძლობას ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი გაუწევს.

– ლათინურად ექს კონტრატიო დაპირისპირებას ნიშნავს. უშედეგოდ ველოდებოდი განსხვავებული რელიგიების დაახლოებას. რაც უფრო მეტად იზრდებოდა ნაპრალი კონფესიებს შორის, მით უფრო მიჩნდებოდა სურვილი დამეწერა ნაწარმოები, რომელშიც აღმოსავლური და ევროპული ტრადიციების თანაარსებობის შესაძლებლობას გადმოვცემდი. ამ ნაწარმოების პრემიერა იტალიის ქალაქ ვერონაში შედგა. მოხარული ვარ, რომ ამ ნაწარმოების პირველი შემსრულებელი, შესანიშნავი მევიოლინე პაველ ვერნიკოვი თბილისშია და სვეტლანა მაკაროვასთან ერთად წარდგება ქართველი მსმენელის წინაშე, – აღნიშნავს გია ყანჩელი.

# ქეთი დოლიძე დააჯილდოვეს




მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" წელს მე-20 იმართება. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი სახელოვნებო კოლექტივები.

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა და მისი დამაარსებელი, რეჟისორი ქეთი დოლიძე კოლეგამ, რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ თუმანიშვილის პრიზით „ხელოვნებაში სრულყოფილებისთვის" დააჯილდოვა.

ინფორმაცია თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა გაავრცელა:

– ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი" გაიხსნა. ტრადიციულად გახსნის დღეს თუმანიშვილის პრიზს გადასცემენ გამორჩეულ ხელოვანებს „ხელოვნებაში სრულყოფილებისთვის"...

მრავალი წელია ვაკვირდები ამ პროცესს და როცა ქეთი ქართველ თუ უცხოელ ხელოვანებს ამ პრიზს გადასცემს, არის გაღიმებული, გახარებული და ბედნიერი. დღეს კი ეს პრიზი მას გადაეცა და არის კუთხეში, მოკრძალებულად, აცრემლებულ- მორიდებული. ასეთი ქეთი დოლიძე ალბათ არ, ან ძალიან იშვიათად გინახავთ. პრიზი თუმანიშვილის ღირსეულმა შემოქმედებითმა მემკვიდრემ თემურ ჩხეიძემ გადასცა, ისე ილაპარაკა, რომ პრიზიორი კი არა, ჩვენც აგვაცრემლა. ვულოცავ ქეთის ამ ჯილდოს!

ჰოდა, აქ მთავარი ერთი, თითქოს უმნიშვნელო დეტალია: ქეთის კონკრეტულ პრიზს „ხელოვნებაში სიმამაცისთვის" ჰქვია, რაც ქეთის არასდროს აკლდა. ამ სიმამაცის დამსახურებაა, რომ „საჩუქარი" არსებობს, თუმანიშვილს იცნობენ საზღვარგარეთაც და კიდევ სხვა მრავალი...

# გიგა კვენეტაძე: „სირცხვილის გრძნობა არ გქენჯნით, როცა ამ ქვეყნიდან მიდიან უპატრონობისგან სასოწარკვეთილი ნიკო ფიროსმანები, გალაკტიონ ტაბიძეები და ლიკა ქავჟარაძეები?"



ამ კითხვას რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი და არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორი გიგა კვენეტაძე სვამს და პასუხს საქართველოს მოსახლეობისგან ელოდება:

– გამარჯობა საქართველო! მინდა გამოვეხმაურო ყველა შემოქმედი ადამიანის გულისტკივილს და გკითხოთ თქვენ, ქართველნო, სირცხვილის გრძნობა არ გქენჯნით, როდესაც ამ ქვეყნიდან მიდიან უპატრონობისგან სასოწარკვეთილი ნიკო ფიროსმანები, გალაკტიონ ტაბიძეები და ლიკა ქავჟარაძეები?

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სპორტი

# კაქტუსმა სოხუმს ოვერტაიმში სძლია

**კაქტუსი-სოხუმი 82:80 (ოტ)**
(13:22, 22:17, 11:19, 23:11, 13:11)




სუპერლიგის პირველი ტური სანახაობრივი მატჩით დასრულდა. კაქტუსისა და სოხუმის დაპირისპირებაში ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მატჩი ახლოს იყო მეორე ოვერტაიმთანაც, თუმცა კაქტუსელთა ამერიკელმა ლეგიონერმა კრისტიან ჯონსონმა ეფექტური გდებით შეხვედრას წერტილი დაუსვა.

არადა, სოხუმელები მატჩისთვის განკუთვნილი დროის უდიდეს ნაწილში ლიდერობდნენ. მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა გუნდმა პირველი პერიოდი 22:13 მოიგო და დაახლოებით ამ სხვაობას ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა. ბოლო პერიოდის წინ სოხუმელები 12 ქულით იგებდნენ, ხოლო ბოლოსწინა წუთზე კი 6 ქულით – 69:63 ლიდერობდნენ.

კაქტუსის მოთამაშეებმა მცირე სასწაული მოახდინეს, რაშიც მათ ამერიკელი ლეგიონერის – კრის უორდის 3-ქულიანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. კაქტუსელებმა ანგარიში ბოლო წუთზე გაათანაბრეს და თამაში ოვერტაიმში გადავიდა. სოხუმი ისევ დაწინაურდა, ამჯერად 5 ქულით, თუმცა უორდმა ისევ ჩააგდო 3-ქულიანი.

ბოლო წამებზე არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაქტუსი 3 ქულას იგებდა, ამჯერად სოხუმმა გაათანაბრა – საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე უკრაინელმა ბოგდან ბაიდამ.

ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მეორე დამატებითი 5-წუთეული უნდა დანიშნულიყო, თუმცა სოხუმელებს დაცვაში ჯონსონი გამოეპარათ, რომელმაც ბურთი გვერდით ხაზთან მიიღო, საჯარიმოში შეიჭრა და ძალიან ეფექტურად ჩატენა – 82:80 კაქტუსის პირველი გამარჯვება ახალდაწყებულ სუპერლიგაში.

კაქტუსში 24 ქულით საუკეთესო სწორედ ჯონსონი იყო. 16 ქულა დააგროვა დეანდრე პარკსმა, ხოლო 14 ქულა უორდის ანგარიშზეა. დავით ლომიძემ კაქტუსელებს 13 ქულა შემატა. სოხუმში 22 ქულითა და 10 მოხსნით ანატოლი ჩელოვანი გამოირჩა. 15 ქულა მოაგროვა მაქსიმ ლუცენკომ, ხოლო ბოგდან ბაიდას ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა.

# ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატს ბათუმი უმასპინძლებს

ალბანეთის ქალაქ დურესში ევროპის ძალოსნობის ფედერაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც გაირკვა, რომ 2019 წელს ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს ბათუმი უმასპინძლებს.

მასპინძლობისთვის დურესში ერთმანეთს ეცილებოდა საქართველო, ესპანეთი, პოლონეთი და თურქეთი. თურქეთმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, დარჩენილი სამეულიდან კი ევროპის ძალოსნობის ფედერაციამ საუკეთესოდ საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქ ბათუმის კანდიდატურა მიიჩნია. ბათუმი ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს 1.000-ზე მეტ სტუმარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს თბილისმა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, 2016 წელს კი გეოგრაფია გაიზარდა და პირველად საქართველოს ისტორიაში ჩვენს დედაქალაქში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატსაც გავუღეთ კარი.

თბილისში ზედიზედ 2 მნიშვნელოვანი ჩემპიონატის ჩატარების შემდეგ ევროპის ძალოსნობის ფედერაციამ კონტინენტის პირველობის ხელმეორედ ჩატარების უფლება ამჯერად ბათუმს მიანდო, რაც ამ ქალაქში სპორტული




ტურიზმის განვითარებასა და საქართველოს ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

საგულისხმოა ისიც, რომ ბათუმის ევროპის ჩემპიონატის პირდაპირ ტელეტრანსლაციას ევროსპორტი 40 საათის განმავლობაში განახორციელებს, რაც შავიზღვისპირა კურორტისთვის დამატებითი რეკლამა იქნება. ასევე ცნობილია, რომ ევროპის სამაუწყებლო კავშირის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ ევროპის ძალოსნობის ფედერაციასთან თანამშრომლობს, ჩემპიონატი 60-მდე ქვეყანაში გადაიცემა.

ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა აღნიშნულ საკითხზე წინასწარი საქმიანი შეხვედრები გამართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ ინგა შამილაშვილთან და ბათუმის მერ გიორგი ერმაკოვთან.

ასე რომ, თბილისის შემდეგ 2019 წელს კონტინენტის უძლიერეს ძალოსნებს ბათუმის ფიცარნაგზეც ვიხილავთ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პროგრამა

### სამშაბათი 17 ოქტომბერი

06.00 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 06.30 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად " 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.15 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30 "არჩევნები" 14.00, 04.15 დღის მხ/ფ "**12 განრისხებული მამაკაცი**" (ჰ.ფონდა) 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 დოკ/ფ "თოფგიარი" 22.00 წინასამატჩო გადაცემა პ/ე 22.40 ჩემპიონთა ლიგა.ჯგუფური ტურნირის მატჩი 00.40მატჩის შემდგომი გადაცემა 01.15 მხ/ფ "**ნებრასკა**" (ა.პეინი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 6 სერ. 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 2 სერ. 22.00 პოლიტიკური თოქ შოუ – ამომრჩევლის პირისპირ 23.30 მხ/ფ "**ვიცი" რომ დაბრუნდები**" 01.10 მხ/ფ "**სისხლიანი მონანიება**" 02.45 მხ/ფ "**ჯეინ ეარი**" 04.40 მხ/ფ "**გახსოვდეს**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" - ამოვარდა 16.55 სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" 22.00 არჩევანი 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

08.00 ან/ფ "ავატარი" 08.30 ან/ფ "ავატარი 2" 09.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" 11.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-3**" 13.00 სერ. "**ძვლები 10**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები**" 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" 21.00 სერ. "**სპირალი 4**" 22.30 მხ/ფ "**მანოლეტე**" 00.30 მხ/ფ "**პოსეიდონი**" 02.15 მხ/ფ "**25 საათი**" 04.40 მხ/ფ "**უტეხი**" 06.20 მხ/ფ "**ცეცხლოვანი კედელი**"

08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 21.55 ტელემარკეტი 11.00, 12.40, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 04.40 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 Hellow თბილისი 00.00 სერ. "**შავი სია**" 3.40 ცენზურის გარეშე

7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**ცხოვრების გზა**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40, 23.00 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00 მხ/ფ 20.00 რეაქცია 23.30 ღალატი

06.10 სპექტაკლი "**დარაბებს მიღმა გაზაფხულია**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 დ/ფ "ველური ბუნება" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 დ/ფ "საქართველოს ისტორია-საქართველო და მსოფლიო 1909 წელი" 10.35 პატერიკი-"სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ" 10.40 სჯანი-"ასტროლოგია" 11.25 ივერიის ეკლესია "საქართველო მოციქულთა ეპოქაში" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.05 კარაბადინი "ნარკომანია" 12.30 საქართველო ევროპულ ოჯახში-"გარემოს დაცვა" 13.30 ან/ფ "ველიანტი" 14.40 გამოყენებითი ხელოვნება "ბატიკა" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "ბარტ ვულფი-ჩიკაგო" 15.50 კონცერტი 17.10 ქრისტიანული ხელოვნება "საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი" 2 18.10 დ/ფ "ყველაფერი ქორეოგრაფიაზე" 18.30 ძველი აღთქმის განმარტება 18.45 თბილისის ტაძრები "ანჩისხატის ტაძარი" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 სამყაროს შექმნა 19.30 მოკ. მხ/ფ "**ბავშვები**" 20.00 ღია აუდიტორია "ო. სიმაშვილიილიას მკვლელობა" 20.40 ძილი ნებისა "სოფლის მაშენებლები" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 გაცოცხლებური წარსული "სიონის გუნდი" 1 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია "ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ბეჭედი" 23.40 დეკორატიული ფლორა "ორქიდეა" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 საღვთისმეტყველო საუბრები 01.30 კონცერტი "პლაჩიდო დომინგო"

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 ოქტომბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4808 |
| ევრო | 2.9326 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2975 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3011 |

**ამინდის პროგნოზი 17 ოქტომბრისთვის**





## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი
# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ალვარო მორატა მალე მოედანს დაუბრუნდება



ჩელსის ესპანელი ფორვარდი ალვარო მორატა მალე მოედანზე დაბრუნდება. მორატამ უფრო მალე შეძლო გამოჯანმრთელება, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ, რადგან ალვაროს წესით ერთი თვე უნდა დაესვენა.

მორატა ამჟამად თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშობს და ის თითქმის მზად არის სათამაშოდ, თუმცა ჩელსის და რომას დაპირისპირებაში ის, სავარაუდოდ, მონაწილეობას არ მიიღებს.

მორატამ ჩელსის რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა და მისმა გუნდმა ეს მატჩები წააგო, ამიტომ მისი მოედანზე დაბრუნება ჩელსისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

## ბეილი ტოტენჰემთან არ ითამაშებს



მადრიდის რეალის უელსელმა ფეხბურთელმა გარეტ ბეილმა ჯერჯერობით ტრავმა ვერ მოიშუშა და ის ტოტენჰემთან შეხვედრას გამოტოვებს. პირველი მატჩი 17 ოქტომბერს მადრიდში გაიმართება და ბეილი თავის გუნდს ვერ დაეხმარება, ხოლო ლონდონში კი ეს გუნდები ერთმანეთს 1 ნოემბერს დაუპირისპირდებიან და შესაძლოა ბეილი იმ დროისთვის მოედანს დაუბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ გარეტ ბეილი რეალში გადასვლამდე სწორედ ტოტენჰემის ღირსებას იცავდა და ამ გუნდში გაითქვა მან სახელი, რის შემდეგაც რეალმა მის ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კრის ნორმანი თბილისში კონცერტს გამართავს

მომღერალი და კომპოზიტორი კრის ნორმანი 10 დეკემბერს თბილისში კონცერტს გამართავს. ბრიტანელი პოპ და როკ-მუსიკოსი საქართველოში პირველად ჩამოვა.

ლეგენდარული მომღერალი თავის ბენდთან ერთად კონცერტს თბილისში, სპორტის სასახლეში გამართავს.

66 წლის კრის ნორმანი დღემდე აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. მისი სიმღერები წლებია პოპულარულია,



თუმცა მის სავიზიტო ბარათად სიუზი ქუადროსთან ერთად შესრულებული დუეტია მიჩნეული. ჰიტი, რომელიც უკვე 39 წლისაა, დღემდე არ კარგავს პოპულარობას. სიმღერის ჩაწერიდან დღემდე სინგლის მილიონობით ასლი გაიყიდა.

კრის ნორმანს რამდენიმე ალბომი აქვს ჩაწერილი. იგი უკვე 53 წელია სცენაზე დგას და გულშემატკივართა უზარმაზარ არმიაში ყველა თაობის მსმენელი ჰყავს. მომღერალი და მუსიკოსი ცნობილი ჯგუფის „სმოუქის" წევრიც იყო, თუმცა საბოლოოდ სოლო კარიერის მოწყობის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი



ორმა მთვრალმა ტაქსი გააჩერა და მძღოლის გაშაყირება გადაწყვიტა. ერთ-ერთი ეკითხება:

– ძმაო, ნაგავს წაიღებ?

– კი ბატონო, დასხედით!

•••

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– ხომ ვერ ამიხსნით ცეცხლოვანი კოცნის ტექნოლოგიას?

– სიამოვნებით. მთავარია, კოცნის დროს პირიდან ანთებული სიგარეტი გამოიღოთ.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა ცუდად გამოიყურები!

– მთელი ღამე არ მეძინა.

– რატომ?

– ღამე სასტუმროში გავათიე. მე-100 ნომერი მომცეს.

– მერე?

– ნომრის კარზე ერთიანი იყო ჩამოვარდნილი და მთელი ღამე მიკაკუნებდნენ, დროზე გამოდი, ჩვენც გვინდაო...

•••

მამაკაცი კითხულობს:

– თქვენ რა, აქ ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბი გაქვთ გახსნილი?

– საიდან დაასკვენით?

– სახეზე ვერავის ვცნობ.

•••

ფოტოგრაფი მამაკაცს ეკითხება:

– როგორი ფოტოსურათი გნებავთ, დიდი თუ პატარა?

– პატარა.

– მაშინ მასე ფართოდ ნუ იღიმებით.

•••

ახალგაზრდა მამაკაცს მიმართავს:

– მინდა, თქვენი ქალიშვილის ხელი გთხოვოთ...

– დიდი სიამოვნებით, ოღონდ ის, რომელიც მუდმივად ჩემს ჯიბეშია.

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რატომ სვამენ მამაკაცები ღვინოს?

– იმიტომ, რომ სასმელია, თორემ, საჭმელი რომ იყოს, შეჭამდნენ!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, ბიჭო, რაჟიკუნა კუს ასეირნებდა და გაექცა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 5 ოქტომბრიდან




# რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 10 ოქტომბრიდან

# ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების", „აბოს წამებისა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## გარი ნევილმა ლუკაკუ გააკრიტიკა



მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდამ გარი ნევილმა, რომელიც ამჟამად ფეხბურთის ექსპერტად მუშაობს ტელევიზიაში, განაცხადა, რომ რომელუ ლუკაკუმ სუსტი შეხვედრა ჩაატარა ლივერპულის წინააღმდეგ.

ნევილის თქმით, ლუკაკუ არ იყო საკმარისად ჩართული თამაშში და თავის გუნდს საკმარისად არ ეხმარებოდა. ბელგიელმა ფორვარდმა თავის კრიტიკოსებს უპასუხა, რომ მას კარგი სტატისტიკა აქვს პრემიერ ლიგაში და მომავალში ის მხოლოდ უკეთესი გახდება. ლუკაკუმ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ჟოზე მოურინიო მას ბოლომდე ენდობა და მანჩესტერში ის თავს ძალიან კარგად გრძნობს.

## გვარდიოლა: „ნაპოლის დამარცხება რთული იქნება"



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ იტალიურ ნაპოლისთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ნაპოლი ძალიან ძლიერია და მათთან მატჩი რთული იქნება.

– წლევანდელ სეზონში ნაპოლი შესანიშნავ შედეგებს აჩვენებს და მისი დამარცხება იოლი არ იქნება. მიუხედავად ამისა, ჩვენ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და ვალდებულები ვართ, მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქროთ, – განაცხადა ხოსეპ გვარდიოლამ.

ნაპოლიმ იტალიის ჩემპიონატში 8 ჩატარებული შეხვედრიდან ყველა მოიგო და ამჟამად ისინი ლიდერები არიან. მანჩესტერი სიტი თავის მხრივ შესანიშნავად ასპარეზობს პრემიერ ლიგაში და ასევე ლიდერია.

## კაკა შესაძლოა სან პაულოში დაბრუნდეს



ბრაზილიელი ფეხბურთელი რიკარდო კაკა ორლანდოს მალე დატოვებს და შესაძლოა მან საფეხბურთო კარიერა დაასრულოს, მაგრამ კაკას ჯერ ოფიციალურად არ მიუღია გადაწყვეტილება ამის შესახებ.

კაკას სამშობლოში ეპატიჟებიან, კერძოდ კი სან პაულო, რომელიც კაკასთვის პირველი გუნდი იყო. სწორედ ამ კლუბში აიდგა ფეხი ბრაზილიელმა და ამის შემდეგ გადავიდა 2003 წელს მილანში, სადაც მისი კარიერა სწრაფად და წარმატებით განვითარდა.

2007 წელს კაკამ ოქროს ბურთიც მოიგო და ის ბოლო ფეხბურთელია, რომელმაც მესის და რონალდოს ჰეგემონიამდე ეს ჯილდო დაიმსახურა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ახალციხის ისტორიული ნაწილი; 2. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 3. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 4. კომბინაცია პოკერში; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 8. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 9. ცხენოსნობის მასწავლებელი; 12. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 14. რაიმე ნაკეთობის, შენობის შემცირებული ზომის მოდელი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ოპერა „კარმენის" კომპოზიტორი; 11. გერმანული ლუდი; 13. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. „სამანიშვილის დედინაცვლის" პერსონაჟი; 17. საგნების მხატვრული კონსტრუირება; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 20. იტალიელი კინომსახიობი მამაკაცი, კომიკოსი.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*